



La Géorgie  
 Indépendante  
 Revue mensuelle  
 JANVIER  
 1929—№ 49

ი ა ნ ვ ა რ ი

1930 წ.

№ 49

# დასავლეთი საქართველო

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ ე უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო .

მ ი ნ ა ა რ ს ი :

მეთაური—სუფთა მიზანს სუფთა საშუალება.  
 საჭირბორბოტო საკითხი.  
 გაქი—ამ.კავკასიის საბჭოური ფედერაცია.  
 რ. ინგილა—სახალწლო.  
 —ლი—გ—საქართველო ციფრებით.

სენ—საბჭოთა ქვეყანაში.  
 ერთი ქორის გამო.  
 გ. ვ. ბესედოვსკის ნამბობი.  
 უცხოეთის მიმოხილვა.  
 საქართველოს ამბები და სხვ.

## ს უ ზ თ ა მ ი ზ ა ნ ს ს უ ზ თ ა ს ა შ უ ა ლ ე ბ ა

ყალბი ჩერვონცების პროცესი საზოგადო ყურადღების ერთგვარ ცენტრად იქცა. ბერლინის ერთმა გაკლენიანმა გაზეთმა «საერთაშორისო დიდი მნიშვნელობაც» კი მიაწერა მას. ვინაიდან ამ საქმეში საქართველოს პირველი ალაგი უჭირავს, ჩვენთვის საინტერესო უნდა იყოს, რა სახისაა ეს «დიდი მნიშვნელობა»: დადებითი თუ უარყოფითი.

ჩვენ არ გვეგულება ერთი ქართველი, ღირსი ამ სახელის ტარებისა, რომ ოდნავ მაინც შებოროტიკდეს და არ უპასუხოს: უ ა რ ყ ო ფ ი თ ი . აბა შეადარეთ საქართველოს განთავისუფლება და ყალბი ჩერვონცები! რაა მათ შორის საერთო, ან კიდევ სამზავსო?

არაფერი, ხლო ბრალდებულთა ქართუმიძე-სადათირაშვილის წყალობით ეს შესაძლებელი გახდა! დიხს, საერთაშორისო, ყველა ქვეყნის პრესა ერთმანეთს აბამს ამ ორ ცნებას—საქართველოს განთავისუფლება და ყალბი ჩერვონცები—, პირველი გამოჰყავს მეორიდან, მეორე კი პირველიდან.

მტერიც ხომ მოუთმენლათ ელოდა ასეთ ჩინებულ შემთხვევას. მოსკოვის და აქედან მთელი კავშირის პრესა «დიდის აღშფოთებით» დღიდან დღე უყვება ბერლინის პროცესზე საბჭოთა «საზოგადოებრივობას» და, სადაც სიტყვა არ ჰყოფნის, მიმართავს კარიკატურას ბრალდებულთა და მათთან «შენთქმულ კაპიტალისტურ ღლავების» გასატიტვლებლათ. უცხოეთშიც მოსკოვის აგენტები არ ზოგვენ არც თავს, არც დოლარებს, რათა საქართველოს განთავისუფლების საქმე ყალბი ჩერვონცების სკანდალში ჩააღრჩონ.

ამ მიზნით მათ საქართველოს ეროვნულ მთავრობასაც წაუპოტინეს ხელი; მათი ბრალი არაა სულაც, თუ ვერ მიუწვდენ. გამომძიებელი იძულებული შეი-

ქნა საჯაროთ განეცხადებია, რომ ბერლინის პროცესთან «არავითარი კავშირი არა აქვს ქორდანას მთავრობას და მასთან მომუშავე ჯგუფებს». მეტი სიფრთხილისთვის, რომ არავის გაებედნა მისთვის ლაქის მოცხება, სამსაჯულომ მეტვალყურის ადგილი მიუჩინა, გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთა გვერდით, საქართველოს ყოფილ ელჩს ბერლინში ახმეტელს, რასაც ვერ ინელებს ბრანშორეული მოსკოვი.

მისი ოფიციალური «იხვესტია» ხელშეკრულებათა დარღვევაში ამტყუნებს გერმანიის მთავრობას, რომლის ხელქვეით დიდ მოხელეთ მის წინამდებე მოწყობილ დიდ იმპერიალისტურ შენთქმულობაში უნდა მიეღოთ მონაწილეობა!

თავის თავათ ისმის კითხვა არის თუ არა დასაშვები ყოველი საშუალება განსაზღვრულ მიზნის მიხედვით? არა—ერთსულოვნათ მიუგებს განათლებული კაცობრიობა. აქედან გამორიცხულია, რა თქმა უნდა, მოსკოვის ხელისუფლება, რომლის ქურტუმი ლენინი კიდევ რევოლუციის აღრე ქადაგებდა—მიზანი ამართლებს საშუალებასა, ყოველ საშუალებასა. სწორეთ ამ ქამურ მცნებაზედ ემყარება საბჭოთა რეჟიმი მთელი მისი საშინელებით. კიდევ მეტი, მათი მიზანიც—ამაში ესლა გონიერნი უკვე არ დაობენ—იგეთივე ველურია, როგორც საშუალებანი.

ბერლინის პროცესიდან უკვე ირკვევა, ვისთან არის ქართუმიძე, მთავარი ბრალდებული, ლენინთან თუ ქორდანასთან! მისი საშუალება რომ სუფთა არ იყოს, ნათელია. მიზანი? იყოს თუ არა ეგ მაინც სუფთა? არა და არა.

ქართუმიძემ ბოროტათ გამოიყენა საქართველოს სახელი და დიდება, მისი სპეტაკი მიზანი და კეთილ-



შობილი მისწრაფება თავის კერძო ზრახვებისთვის. ყალბი ჩერვონცები მიზანი იყო მისთვის, ხოლო საქართველოს განთავისუფლება—საშუალება—აი, თუ გნებავთ, კვანძის ნამდვილი გასსნა.

მაგრამ ბერლინის პროცესში იყენენ ნახსენები ბევრი ისეთი ცნობილი პირები, რომელთაც, შეიძლება, ამოძრავებდათ სხვა მოტივები, როგორცაა: კავკასიის სიმდიდრენი და მათი დაკავშირება იქაურ ერების განმთავისუფლებელ მოძრაობასთან, უკრაინის ჩათრევა, შავი ზღვის ფედერაცია... ერთი სიტყვით, დიდი საერთაშორისო კომბინაციები, რომლის გამომწვევი იყო და არის მოსკოვიტების მუდმივი პროვოკაციები.

ჩვენ ვეჭვობთ იმაშიც, რომ ბრალდებულნი მართებულათ ასახელებდნენ ამ პირთ, ისინი შეპყრობილი არიან პეროსტრატის მანიით, უნდათ ისტორიაში მოხვდნენ და... სატუსაღოს აცდნენ. უკანასკნელი უმთავრესია მათთვის, თორემ ვინ არ იცის პოლიტიკურთა ადათი—არ გასცენ მონაწილენი. ისინიკი სულ წინამდევ იქცევიან და იკვებნიან კიდევ!

როგორ მოგწონთ ასეთი გმირები? მართალია, ქარუმიძე შეურაცხეს მოქმედებით მოსკოვის ჯიულებმა—გერმანელმა კომუნისტებმა სასამართლოს კარზედ, იქნებ ეს აქტი აძლევდეს პროცესს პოლიტიკურ ხასიათს! აი, როგორ წვდებთ ერთმანეთს ორი უკიდურესობა: მოსკოვის მიერ საქართველოს დამორჩილება მისი ურდობით, ერთის მხრით, და ქარუმიძის მიერ იმავე საქართველოს «განთავისუფლება» ყალბი ჩერვონცებით, მეორეს მხრით!

ყენვის ერთი მეგობრულათ განწყობილ ვაზეთის მეთაური ასეთ დასკვნას აკეთებს: როგორც არ უნდა შეხედოთ ბერლინის პროცესს, ერთი უდაზა: საქართველოს საქმემ განიცადა ერთი უღმობელი დაკვრაო. ეს არის უცხოელთა შთაბეჭდილება, იმ უცხოელთა, რომელთა კარგი აზრი და ერთგულობა საქართველოსადმი ნაყოფია ქართველ ერის შეუპოვარ რაინდულ ბრძოლისა.

იმ დროს, როდესაც უთვალავი იარებით დასისხლიანებული ქართველი ერი უკანასკნელ ძალებს

იკრებს გადაშურელ ბრძოლის მისაცემათ; როცა მას ყველაზე უფრო კარგი და უმწიკვლო სახელი ევიგრება მსოფლიოს საზოგადო აზროვნებაში,—გამოდის ქარუმიძე და... წუმვეში ავლებს მას. საქართველოს სახელს, აკრავს ზურგზედ ყალბი ჩერვონცების დას და მთელი ორი კვირა ამ სამარცხვინო ნიშნით გამოჰყავს საქართველო საერთაშორისო ავანპოსტზედ! ჩვენ ვერ ვბოულობთ სიტყვას ამ გაუგონარ საქციელის სათანადოთ დასაგმობათ, ეგ არის ისტორიული დანაშაული ქვეყნისა და ერის წინაშე.

მაგრამ ერთიც ნუ დავგავიწყდება: არ არის ამ ქვეყნად ერი, რომელსაც თითო ორჯოა მახინჯი არ გამოერიოს. ჩვენს ერს მეტიც გაუჩნდა, სავალალოთ. განა ვინ არიან, თუ არა მახინჯნი სულით და ხორკით: ჯულაშვილი, ორჯონიკიძე, მახარაძე და ძმანი?

ქარუმიძის გასამართლება არ არის საქართველოს გასამართლება, როგორც ცდილობენ მოსკოვი დამისი დამქაშნი მოაჩვენონ ქვეყნიერებას. თავისი ფილი და ავანკური თავდასხმებით ისინი მხოლოდ ამჟღავნებენ ერთ უტყუარ ფაქტს: საქართველოს მოწამებრივი შარავანდედი, ქართველი ერის გაუტყებელი ნებისყოფა და გატყორცნილი ისარივით ერთი მიზნისკენ სზბოლა—აი, რა არ ასვენებს მათ, რა ჰვენს ბნელს ყოველ მათ ცდას გაათეთრონ მსოფლიოს თვალში მათი დანაშაული ბოროტებისგან ახლათ განთავისუფლებულ პატარა ერის მიმართ.

ურცხვი და მიულწვეელი ამოცანა! მხოლოდ ათიოდე წელიწადია, რაც ქართველმა ერმა გადაიტანა თავის ტრადიციულ განმათავისუფლებელ ბრძოლის ანარეკი საერთაშორისო ასპარეზზედ, და რას ვხედავთ? არ არის არც ერთი ჩაგრული ერი, დიდია ის თუ პატარა, ძველი თუ ახალი, რომელსაც მოეპოვოს იმდენი მეგობრული გამოხმაურება, სიმპატია და თანაგრძნობა განათლებულ კაცობრიობისა.

მოსკოვის ბანჯგელიანი ხელი ვერ დაჩრდილავს მის სპეტაკ შუბლზედ მოლაპლაპე სხივებს.

ს ა ზ ი რ ბ რ ო ტ ო ს ა კ ი თ ხ ი

Sine ira et studio

«ეს მეოცე აღდგომაა... ამოიხრებს მონობის განვლილ წელთა განზომავზედ «დალატის» ერთერთი მომქმედი პირი, ქართველ ერის სულის სიმაგრის გამომსახველი, ისახარი.

ოცი თუ ათი, რა განსხვავებაა განა? ხვალ თუ ზევ ჩვენს ქვეყანასაც და ჩვენც, მის კერას მოწყვეტილთ, გაგვითენდება მეთაე აღდგომა, უსინარულო, მწარე ფიქრების ამღვრელი და უფრო მწარე გრძნობების ამშლელი. შესრულდება ცხრა წელიწადი ჩვენის ერის ტყვეობისა, მის აუტანელ წამებისა და ჩვენის უსახლკარობისა; დადგება მეთაე წელი თავისის მეთაე აღდგომით.

ათი წელიწადი მთელი ეპოქა უკვე, ისტორიულად დაფასების ღირსი მანძილი. ისტორიულად და-

ფასება? არა, ამისათვის ბევრი რამ გვაკლია და ყველაზე უფროკი სურვილი. მაგრამ ისტორიკოსობაზე თუ უარს ვამბობთ, უარს ვერ ვიტყვით იმ კანონიერ ადამიანურ გრძნობაზე, რომელიც, გვინდა არ გვინდა, დროგამომუვებით უკან მიგვახედებს, შავად მოცული განვლილ წელთა თვალწინ გადავიწიოს და ისედაც გამწარებულთ უფრო მწარე გუნებაზე დაგვაყენებს.

ან კი რა დაგვრჩენია, გული გაგვიხაროს, მისი წყლული დაგვიამოს?

გადამეტებას ვერავინ დავგწამებს, თუ ვიტყვით, რომ ისეთი შავი დღე, რაც დღეს ადგია, ჩვენს ქვეყანას ჯერ არ უნახავს მთელს მის ხანგრძლივ არსებობის განმავლობაში. მართალია, ხშირად შემოსევია



უამრავი უწყალე ურდობი: ათასობით და ათიათასობით ამოუწყვეტით მცხოვრებნი; გაუნადგურებიათ ქალაქები და დაბა-სოფლები, ქვა-ქვაზე არ დაუტოვებიათ, მაგრამ მაშინდელ ქართველებს ტყეში და მთაში გახიზნის საშუალება მაინც ჰქონიათ. და თუ მტერს ხელში ჩაუვარდებოდნენ, ან იმწამსვე გამოსალმებდა მტერი ამ წუთისოფელს, ან თუ ცოცხალს დასტოვებდა, იმ უკიდურეს მორალურ წამებას მაინც ადარ მიაყენებდა, რომელსაც აყენებს ქართველ ერს სწორედ ამაში დახელოვნებული დღევანდელი ჯგალათი.

ან კი რა დაგვრჩენია გულის გასახარებელიო, ვსთქვით ზემოდ და ტყუილი ვსთქვით. დაგვრჩენია ის, რაც ასულდგმულებს ყოველ გონიერ არსებას და პირუტყულ არსებობას შეგნებულ ცხოვრებისაგან განარჩევს: დაგვრჩენია იმედი, ეს ცის მოციქული, მხდალის მამაცად, უძლურის ძლიერად და ძლიერის გმირად გადამქმნელი ღვთაება. გაუპერეტ სიბნელის ტატანზე ჩაგრულთათვის მოღიმარ ცისკრად მოვლინებული ამ ქვეყანად.

მაგრამ... მაგრამ იმედი დიდის და უფრო დიადის შინაარსის მცნებაა. ეს ზეციური გრძობა მაშინ არის მხოლოდ ცხოველმყოფელი და გვირგვინად ედგმის ადამიანის თავსა და გულში ამოძრავებულ მაღალ ზრახვათა და გრძობათა მთლიანობას. თუ ვვინდა, რომ ჩვენის ქვეყნის განთავისუფლების, მის უკეთეს დღეთა იმედი უსაგნო არ შეიქნეს, უნაყოფო გრძობის გარეპირად არ გადაიქცეს, ცხოველ იმედის ადგილი უმოქმედო ნატვრამ არ დაიჭიროს, საჭიროა... საჭიროა ძლიერ ბევრი რამ, საჭიროა ყველა ნამდვილ ადამიანურ გრძობათა ამუშავება და ყვალაზე უფრო შეწირვა პირადულისა საზოგადოებრივისათვის, ჯგუფურისა და პარტიულისა—მამულიშვილურისათვის, თავ და პატივმოყვარეობისა—მოძმისა და ქვეყნის სიყვარულისათვის!..

ამ ცხრა წლის წინად უკუღმართ ბედის წყალობით უცხოეთში გადმოხვეწილებმა, რომელთაც ჯერ არ წავგზოვოდა თვალის ბადეზე ჩვენის ქვეყნის სანახავები და დაკადილი გული სისხლის დენით გველეოდა, თითქო შევიგენით ეს მცნება, ავმალდით საუკეთესო ადამიანურ და მამულიშვილურ გრძობამდე და დავდეთ პირობა ერთად ყოფნისა, ერთად ბრძოლისა. შევიგენით და გვესმოდა ის მარტივი და ქვეყანასავით ძველი დებულება, რომ ძალა ერთობაშია, რომ ჩვენს პირობებში ასეთს ერთობას ზედმეტი მნიშვნელობაც ეძლეოდა, სახელდობრ ის, რომ თუ მტრის წინაშე გაერთიანება ძლიერების შექმნას ნიშნავს. აქ, უცხოეთში ამ ერთობას უნდა მოეპოვებინა ჩვენ ეროვნულ საქმისათვის, განსაკუთრებულ პირობათა თანახმად. უცხოელთა განსაკუთრებული ნდობა და პატივისცემა, და კეთილი განწყობილება და თანაგრძობა. თუ სამშობლოს გარეთ, ემიგრაციაში ვერ შეუნახავთ ერთი სახე და ერთმანეთს ეკინკლავებიან, შინ რაღა იქნებიანო, შეუძლია სთქვას ჩვენის არევ-დარევის მაყურებელმა უცხოელმა, და ამას არის, რომ ვუწოდებთ ჩვენ განსაკუთრებულ პირობას.

ჩვენ გვესმოდა, რომ ურყევი ერთობა იყო ჩვენი

პირდაპირი მოვალეობა, რომ მას მოითხოვდა ჩვენგან ჩვენი წამებული ქვეყანა, და გონიერებისა და სინდისის ხმის მორჩილებმა აზრი საქმედ ვაქციეთ, ყველასათვის ცხადი განსაცდელის წინაშე, ყოველ ქართველისათვის აუცილებელ მოვალეობის წინაშე პირობა დავდეთ: ყველანი ერთად, ერთის ფრონტით ეროვნულ დამოუკიდებლობისაკენ!

ოღონდ რას ნიშნავს ეს ერთობა და ერთი ფრონტი?

ამის პასუხს იძლევა ის ხელშეკრულება, რომელიც დაიდო პარტიებს შორის და რომლის ნამდვილი აზრი ასეთი იყო: დავივიწყეთ იმ უბედურების წინაშე, რომელიც თავს დაგვატყდა, ჩვენი უთანხმოებანი, პარტიული წინამდებგობანი, დავივიწყეთ წარსულში ერთმანეთისათვის მიყენებული წყენანი და ძველი საყვედურები. თავი დავანებოთ ერთმანეთისათვის ბრალდებების წაყენებას; ერთის სიტყვით, დავივიწყეთ ყველა ის, რაც გგუფოდა და გგთიშავდა და მთელი გონება, ძალღონე, მთელი ჩვენი არსება ერთ საკითხს მივაპყრათ, ერთს საგანს შევსწიროთ, — ერის შევლას, ჩვენის ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენას.

ასეთია ნამდვილი აზრი იმ ეროვნულ ფრონტისა, რომელიც შექმნა ქართველმა ერმა ყველა თავის პარტიათა შეთანხმების სახით; ასეთია შინაარსი იმ მუშაობისა, რომელიც ვალად ედება ყოველ შეგნებულ ქართველს, ყველა ქართველ პარტიებს.

ბუნებრივია, რასაკვირველია, რომ ასეთს მუშაობას და თანამშრომლობას, როგორც ყოველ კოლექტიურ საქმიანობას, თან სდევდეს შეცდომები, ხშირად გაუგებრობა, ზოგჯერ გამწვავებაც კი, რადგან საერთო ფრონტში დგომა, საერთო საქმის კეთება სრულებითაც არ ნიშნავს თავის აზროვნებაზე და რწმენაზე ხელის აღებას, სხვისის აზრებისათვის კრიტიკულად მიდგომაზე უარის თქმას და მონურ მორჩილებას. ხოლო კრიტიკა და კრიტიკა. არის კრიტიკა კეთილგანწყობილი და კრიტიკა განზრახვი; კრიტიკა თანამშრომლობის განმამტკიცებელი და კრიტიკა სოლიდარობის დამრღვევი.

ცხადია აქედგან, თუ როგორია ეროვნულ ფრონტის წევრის უფლება-მოვალეობა: ფრონტის საქმიანობის კრიტიკა, მაგრამ მისივე უკანასკნელ ღონისძიებამდე დაცვა და შენახვა. შეიძლება, რასაკვირველია, მოხდეს, როდესაც ეროვნულ ფრონტში მდგომს არა თუ უფლება ჰქონდეს, მოვალეც გახდეს მიატოვოს იგი. ეს მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ დანიანხავს, რომ დანარჩენი შეგნებულად გადადგომიან და დალატობენ თვით იმ საგანს და დედა-აზრს, რომლისთვისაც შექმნილია ფრონტი. ამ შემთხვევის გარეთ არ არის სხვა, რომელიც ფრონტის დატოვების ნებას იძლეოდეს.

ასეთია ჩვენი შეხედულება ეროვნულ ფრონტის დანიშნულებისა და მის წევრთა მოვალეობის შესახებ.

წარსულ აპრილში ერთ-ერთ პარტიის წარმომადგენელმა დასტოვა ცენტრი. ამან გამოიწვია ამ პარტიაში განხეთქილება, რასაც მოჰყვა ის, რომ პარ-





ტიის ერთმა ნაწილმა აღადგინა ცენტრთან კავშირი, ხოლო მეორემ საჯაროდ გაილაშქრა ცენტრის, ეროვნულ ფრონტის აქაურ ორგანოს, წინააღმდეგ.

ბუნებრივად ისმის საკითხი, რა მოხდა ისეთი, რამ აიძულა განდგომილნი, ასეთი ნაბიჯი გადაედგათ.

რაკი ჩვენ თვითონ ვერ ვხედავდით ამის მიზეზს, სხვა არა დავგვრჩენოდა, მოგვეცადა იმ განმარტებისათვის, რომელსაც თვითონ მოგვეცემდნენ.

განდგომილთ გაიჩინეს საკუთარი ორგანო და კიდევ გამოხსცეს 4 ნომერი. გულდასმით გადავიკითხეთ ოთხივე და, უნდა გამოვტყდეთ, ვერაფერი ამოვიკითხეთ შიგ ისეთი, რასაც ცოტაოდენ მაინც შეეძლოს იმ გაბედულ და პასუხსაგებ ნაბიჯის (ფრონტის საგნის მიხედვით, რასაკვირველია) გამართლება, რომელიც მათ გადადგეს. ტყუილად ვეძებდით ფრონტიდან გასვლის მიზეზებს, მის დასაბუთებას. ასეთი მიზეზი და საბუთი კი არა, ცენტრის უბრალო კრიტიკაც კი ვერ ამოვიკითხეთ. სამაგიეროთ ოთხივე ნომერი სავსეა სოც.-დემოკრატიულ პარტიის პროგრამისა და ამ პარტიიდან გამოხსულ მთავრობის დამოუკიდებლობის დროის მოქმედების კრიტიკით. აქ ქვა ქვანე არ არის დატოვებული: სოც.-დემოკრ. პარტია «უკვე 1921 წ. დაიშალა», სწერს ბ. ამირეჯიბი. რაც შეეხება მთავრობას, ყველა უბედურობა საქართველოს მისის წყალობით მოსვლია; და არა მარტო ის, რაც ამ მთავრობის მართვა-გამგეობის დროს მომხდარა, არამედ ისიც, რაც ჯერ არ მოსვლია და, შესაძლებელია, არც მოუვიდეს: «თუ მართალია ის ცნობები, თითქოს ამერიკელები იღებენ თავზე ნავთსადენი მილის გაყვანის საქმეს ბაქოდან და გროზნიდან ბალტიის ზღვამდე, ამბობს ბ. ხანანაშვილი, მაშინ უეჭველი უნდა იყოს ყველასთვის, თუ რა ზომამდე არაფერი გაკეთებულა კავკასიის განთავისუფლებისათვის იმათ მიერ, ვინც ამ მოძრაობას დღემდე ედგა სათავეში».

თუ ეროვნულ ფრონტის იდეა, ერთის მხრით, და სოც.-დემოკრატიულ პარტიის პროგრამა და მთავრობის დამოუკიდებლობის დროის მოღვაწეობა, მეორეს მხრით, ესოდენ მოუთავსებელი ჰყოფილან, ეს ხომ იმ თავითვე უნდა სცოდნოდათ მათ, ვინც დღეს გაანებეს თავი ფრონტს, და მაშინ რაღა საჭირო იყო ფრონტის შექმნა?

არა ვგონებთ, გარეშემ კი არა, თვით მთავრობის პირთაც სთქვან, ჩვენი მართვა შეუცდომელი იყო. ზოგი ბევრსა და დიდს შეცდომებს ხედავს მის წარსულ მოღვაწეობაში, ზოგი ნაკლებს. ჩვენ არ ვიცით, როგორ უყურებს თავის წარსულ მოღვაწეობას თვით მთავრობა და არც ვვითხებით, ვინაიდან ასეთის საკითხის დასაყენებლად არც ადგილი (საქართველოს გარეთ და ერის მოშორებით) და არც დრო (ქართველ ერს მტრის კლანჭებში სული ესუთება) არ მივაჩნია შესაფერისად.

და თუ მათ, ვისაც ასეთი მოსაზრება არაფრად აწუხებს და შესაძლოდ მიაჩნიათ 1921 წლამდე არსებულ მდგომარეობის შესახებ საკითხების აღძვრა, ლოლიკასთან უფრო ახლო იქნებოდა, ფრონტში ჩადგომამდე ექნათ და არა 7—8 წლის დაგვიანებით.

რაც შეეხება მთავრობისა (თუ ცენტრის) იმ ზომამდე მისულ უმოქმედობას კავკასიის განთავისუფლების საკითხში, რომ ამერიკელები ნავთსადენის გაყვანას აპირებენ, აქ თითქო არც ქართველი მთავრობა და არც ცენტრი არაფერ შუაში არიან,—საკითხი თითქო უფრო სხვა მთავრობას ან სხვა ფრონტს ეხება. მეორეს მხრით ფრონტი ხომ ფრონტია და კავკასიის განთავისუფლებისათვის ყველა პარტიებს ერთნაირად უნდა ეზრუნათ. საუბედუროდ, ჩვენ არ გვსმენია, რომ ან განდგომილთ გაეკეთებინათ რამ ფრონტში ყოფნის დროს კავკასიის განთავისუფლებისათვის,—არ შეეზვედრილავართ არც დაწერილ მოხსენებებს, არც ოქმში შეტანილ მოსაზრებათ. ბ. ხანანაშვილს კი, იმედია, მხედველობაში აქვს ასეთი სერიოზული და ცენტრის შესაფერი მუშაობა და არა ავანტიურები.

არა, ეს არის ის კეთილგანწყობილი და ამიტომ სასურველი კრიტიკა, რომელიც შეუძლიათ და მოვალენიც არიან ერთმანეთს გაუწიონ საერთო უბედურობით დაკავშირებულთ.

ეროვნული ფრონტი მთავრობის გარეშემ გაიმართა იმიტომ, რომ მთავრობა ეროვნული იყო, ეროვნულ გზას ადგა და დამოუკიდებლობის ერთადერთ სიმბოლოდ შეგვრჩა იმ დრომდე, ვიდრე ეს სიმბოლო სინამდვილედ იქცევა.

ამ პირობებში განზე გადგომის და საკუთარ გზის არჩევის ერთადერთი გასამართლებელი საბუთი ის იქნებოდა, რომ მთავრობას ან რომელსამე პარტიას ეროვნულ გზისათვის გადაეხვია და დამოუკიდებლობის აღდგენაზე უარი ეთქვა. ოღონდ მთავრობაც და ყველა პარტიები ერთდროულად დასაბრუნებულს დამოუკიდებლობის ნიადაგზე დგანან, და წინააღმდეგი არა თუ არავის დაუმტკიცებია, სათქმელადაც არავის მოსვლია აზრად.

ყველა სხვა ბრალდება და ჩივილი,—აქაოდა ცენტრი უმოქმედოა, ესა თუ ის პარტია ინტრიგებს ეწევა, ესა თუ ის პირი დიქტატორობას ჩემულობს,—ყველა ასეთ არა სასურველ მოვლენას ფრონტში დგომით უფრო ეშველება, ვიდრე გარეთ ყოფნით, ხოლო ფრონტის დარღვევით კარგი არა გაკეთდება და ცუდი კი ბევრი. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ფრონტის მოშლა, ეროვნულ მთავრობის გარეშემოკრებილ ძალების დაშლა-დფორგანიზაცია, თვით მთავრობის და ჩვენის დამოუკიდებლობის ყოველივე ნიშანის და გამოხატულების მოსპობა, იყო და არის ჩვენის ქვეყნის მტრის მუდმივი ნატურა და უმხურვალესი სურვილი.





ამიერ-კავკასიის საბჭოური ფედერაცია

«ამიერ-კავკასიის ფედერაციამ თვის არსებობის პირველ პერიოდში ბრწყინვალეთ გაამართლა თავისი დანიშნულება», სწერს გაზ. «კომუნისტი» მეთაური ქარ. «კომ. დღე. 1929 წ.). მაგრამ ერთი ვიკითხოთ, რომელი დანიშნულება და ვისი იმედები გაამართლა მან ბრწყინვალეთ?

რასაკვირვლია არა ის, რომლის შესახებაც კომუნისტი პოლიტიკოსები და გაზეთები ქვეყნის თვალის ასახვევით გაიძახიან.—ფედერაციამ დაამყარა ამიერ-კავკასიის ერებს შორის სოლიდარობა და სათნოება. არა, მან გაამართლა რუსის ყველა ჯურის «ველიკოდერჟავნიკების» იმედები, რომლებმაც თავიდანვე სისწორით აუღეს ალღო საბჭოთა ხელისუფლების ნაციონალურ პოლიტიკას. მეფის ყოფილი ცნობილი გენერალი ბრუსილოვი და ყველა ის ოფიცრები, რომლებიც ბოლშევიკებთან ერთად იბრძოდნენ განაპირა ქვეყნების ხელშეგრები დასამორჩილებლათ, და რომელთა რიცხვი, ლ. ტროცკის სიტყვით, წითელ არმიასში 30 ათას უდრიდა, ბოლშევიკების ნაციონალურ პოლიტიკაში ხედავდნენ «დიდი და განუყოფელი» რუსეთის აღდგენას. ისინი არასოდეს არ ყოფილან რევოლუციის გენერლები, როგორც საფრანგეთის რევოლუციამ მოგვცა, ისინი იყვენ «ერთი და განუყოფელის» გენერლები და ასეთებათ დარჩნენ ბოლომდის.

რუსის «სმენავეხლებმა» და ევრაზიელებმა კი, კომუნისტების «ველიკოდერჟავნიკული» ნაციონალური პოლიტიკა საეხებით მიიღეს და თავის საქმეთ გამოაცხადეს. კონტრ-რევოლუციის ყოფილმა ხელმძღვანელმა ცნობილმა პროფ. უსტრილოვმა კომუნისტებისა და რეაქციონერების მიზნის ერთობა შემდგენაირათ დაასაბუთა: «საბჭოთა ხელისუფლება ყოველი სავალეებით შეეცდება შეუერთოს განაპირა ქვეყნები ცენტრს (მოსკოვს) მსოფლიო რეოლუციის სახელით. რუსის პატრიოტები კი, იბრძოდნენ ამავე მიზნისათვის—დიდი და განუყოფელი რუსეთის სახელით. და მიუხედავათ მათ შორის არსებულ იდეოლოგურ დიდი სხვადასხვაობისა, პრაქტიკული გაზა—ერთია»-ო (კრებული «სმენავეხ» გვ. 56).

აი, როგორი სისწრაფით აუღეს ალღო 1921 წელს რუსმა «სმენავეხლებმა» ლენინის ნაციონალურ პოლიტიკას და როგორი იმედები დაამყარეს მასზე. და უნდა ითქვას სიმართლეთ, რომ ისინი არ შემცდარან. საბჭოთა ხელისუფლებათ აკეთებდა და აკეთებს, რუსეთის რეაქციონერებთან ერთათ, რუსულ «ველიკოდერჟავნიკულ» საქმეს. ამიერ-კავკასიის ფედერაციაც ამ მიზნით იყო გამოგონილი მოსკოვის მიერ და მან მართლაც რომ დიდებულათ შეასრულათ თავისი დანიშნულებათ.

ამიერ-კავკასიის ფედერაციამ აყარათ და ყრის ყოველდღე მასში შემავალ ერებს იმ საბჭოური უფლებასაც კი, რომელსაც მათ საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია ანიჭებს და რომელსაც კავშირში შემავალი ზოგიერთი ერები, ამა თუ იმ სახით, სარგებლობდნენ. ამიერ-კავკასიის ფედერაცია ისეთი მოხერხებუ-

ლი იარალი გამოდგათ მოსკოვის ხელში, რომ, საქართველოს, სომხეთისა და აზერბეიჯანის საბჭოური უფლებათ, ტაჯიკისტანის უფლებათზე მცირე აღმოჩნდა.

ეს ისეთი თვალსაჩინო ფაქტია, რომ იგი ტურეზმაც კი გაიგეს ჩვენში. ხლოო რაც შეეხება საბჭოთა ხელისუფლების მიერ დამყარებულ ერთათ სოლიდარობას კავკასიაში, იგი ისეთივე ზღაპარია, როგორც სხვა მრავალი ბოლშევიკური «სიმართლეთ». და არ არის საუირო არც მენშევიკობათ და არც «უკლონისტობათ», რომ ეს ქეშმარიტება დანახო. ამისთვის საქმარისია წაიკითხოთ საქარ. კომპარტიის მდივნის მ. კახიანის მიერ პარტიის VI ყრილობათზე ამა წლის ივლისში გაკეთებული მოხსენება, რათათ ნათელი გახდეს თქვენთვის, თუ როგორ აღვივებს ერებ შორის შუღლს მოსკოვის მიერ გამოგონილი საბჭოური ფედერაცია.

ყოფილი რუსეთის იმპერიაში შემავალმა ერებმა საუკუნეების პრაქტიკული გამოცდილებით იციან, თუ რას ნიშნავს რუსის ხიშტი «დამყარებული ერთათ მშვიდობიანობათ» და მოსკოვის «მზრუნველობათ» მეზობელი ერების შესახებ. წითელი მოსკოვის პოლიტიკაში ახალი არაფერი არ არის ამ სახით. იგი მეფეების პოლიტიკის განმეორება. მოსკოვის ეს პოლიტიკათ პოლონეთის ცნობილმა პატრიოტმა და რევოლუციონერმა თადეუშ კოსტიუშკომ 1794 წლის 7 მაისს პოლონეთის ერისადმი მოწოდებაში შემდეგნაირათ დაახასიათათ:

«არასოდეს მტრის იარალი არ იქნებოდა საშიში პოლონელებისთვის, რომ მათ ერთმანეთ შორის ქლონდათ ერთობათ, სკოლნდათ თავისი საკუთარი ძალის მნიშვნელობათ და იგი შესაფერიისათ მოეხმარათ. სამწუხაროთ ეს ასე არ იყო. რუსეთის ტირანია სცილდობოდა სულმდაბლათ, ატყვილებოდა გონებით სუსტებს, გაიძვარული შეპირებით ეფიცებოდა ცრუმორწმუნეობას, ეალერსებოდა გრძნობებს, ამხებრებოდა პოლონელებს პოლონელების წინამდებე და აშავებოდა ჩვენს ერს უცხოელების თვალში. ერთი სიტყვით, ყველაფერი მოყავათ მოძრაობაში, რათათ დაველუპეთ. ბრწყინვალე წარსულის მქონე პოლონეთის ერი, მიტომ გმინავს დღეს უცხოეთის მძიმე უღელს ქვეშ, რომ, მოსკოვის მზაკერული პოლიტიკათ უფრო ძლიერია, ვინემ რუსის იარალი—იგი ღუპავს პოლონეთს, პოლონელებისვე ხელითო.»

და განათ რუსეთის პოლიტიკათ მარტო პოლონეთისადმი იყო ასეთი? არა. მან ამავე ხერხით და სავალეებით დაიპყრო დანარჩენი ერებიც. ეს პოლიტიკათ დღესაც გრძელდება და როგორც პროფ. უსტრილოვი ამბობს, მას ბოლშევიკები მსოფლიო რევოლუციის სახელით აკეთებენ. ამავე პოლიტიკას ემსახურება რუსის ემიგრაციაც და ტყვილათ ფიცულობს იგი, რომ ჩვენ ლიმიტორფების რუსეთთათ შეერთება არ გვინდა. არ უნდათ იმიტომ, რომ დღეს რუსეთს ამის ძალათ არ შესწევს, მაგრამ ისე კი ყველათ, გარდა სოციალისტების მცირე ჯგუფისათ, მხოლოდ ამაზე ოცნებობს.





კოსტიუშკოს მანიფესტის შემდეგ 135 წელმა გა-  
წვლად, რუსეთის იმპერიაში შემავალმა ერებმა ამ  
ხნის განმავლობაში ბევრი რამ განიცადეს და მოს-  
კოვის პოლიტიკასაც საკმაოდ გაუშინჯეს კბილი.  
მიუხედავად ამისა, ყველა ერთი მოლოცვა კიდევ  
ჯგუფი, რომელსაც დღემდის ვერ გაუგია მოსკოვის  
პოლიტიკის მთავარი აზრი.

კერძოდ ქართველი კომუნისტების თავზე განმე-  
ორდა იგივე ისტორია, რომელსაც ადგილი ქონდა  
პოლონეთის რუსოფილების ისტორიაში. 1791 წელს  
პოლონეთის პატრიოტებმა, რომ ეხსნათ სამშობლო  
გარეშე საფრთხიდან და ერთი განახლების გზაზე დაე-  
ყენებიათ, 3 მაისის კონსტიტუცია შემოიღეს. იგი  
უეჭველად აყენებდა ერთ ალორძინების გზაზე და ამა-  
გრებდა სახელმწიფოს. მაგრამ ამით ნაწყენი დარჩა  
პოლონეთის პანების ერთი ნაწილი, კონსტიტუცია  
მათ უფლებას—liberum veto და სხვას ზღუდავდა.  
3 მაისის კონსტიტუციის წინამდებელი იყვნენ პოლო-  
ნეთის გარეშე მტრებიც: რუსეთი, ავსტრია და პრუ-  
სია. მათ პოლონეთის დაყოფა ქონდათ გეგმაში, პო-  
ლონეთის პატრიოტები კი, ამის საშვალეობას უსპო-  
ბდნენ. და აი ეს სახელმწიფონი გამოვიდნენ პოლონე-  
თის პანების უფლების «დამცველათ», რომელიც მათ  
თითქმის «პოლონელმა იაკობინელებმა» ძალით ახა-  
დეს.

პირადი ინტერესებით და სულელური თავმო-  
ყვარებით შეპყრობილმა რუსოფილებმა, რუსეთის  
მიმართეს დანებებისთვის. ეკატერინე მე-II მხნერ-  
ხებულათ გამოიყენა ისინი თავისი მზაკრული პო-  
ლიტიკის განსახორციელებლათ. 1793 წელს რუსო-  
ფილები შჩენსნი პოტოცკისა და სევერინ რევესკის  
მეთაურობით რუსის ჯარს წამოუძღვენ და პოლო-  
ნეთში შემოიჭრენ. 18 მაისის ტორგოვიცეში მოიწვი-  
ეს რუსოფილების კონფედერაცია და თავისი თავი  
პოლონეთის მთავრობათ გამოაცხადეს. ამან ძლიერ  
გაუადვილა რუსის ჯარს ბრძოლა. პოლონეთი რუ-  
სისა და პრუსიის ჯარების მიერ ორი მხრიდან შევი-  
წროვებული, დამარცხდა. გამარჯვებულმა რუსეთმა  
და პრუსიამ პოლონეთის მეორე დანაწილება დაად-  
გინეს და ტორგოვიცებს მასზე ხელის მოწერა მოს-  
თხოვეს. რუსოფილები მიხვდნენ, რომ თავისი სამშო-  
ბლო, თავისივე ხელით დაკლეს, მაგრამ გვიანდა იყო.  
რუსოფილების ერთმა ნაწილმა უკან აღარ დაიხია  
და სამუდამოდ მიყიდა რუსეთს თავი და კიდევ უფ-  
რო შეეცადა რუსეთის გაძლიერებას პოლონეთში.  
მეორე ნაწილმა შეცდომა გამოასწორა და პატრიო-  
ტებთან ერთად დაიწყო ბრძოლა. რუსეთის რეზიდენ-  
ტის სივერსის წინადადებაზე—მოეწერა სეიმს ხელი  
რუსეთის პირობებზე, ყოფილმა რუსოფილმა კარს-  
კიმ განაცხადა: «უმჯობესია დაიხსოვოთ, ვინემ გავ-  
ყიდოთ სამშობლო და გავხდეთ სხვა ერების სასაცი-  
ლოთო». რასაკვირელია, კარსკის სიტყვებმა სამშო-  
ბლოს ვეღარ უშველა, რუსის ჯარი სეიმში შეიჭრა  
და სეიმის წევრები ძალით აიძულა მოეწერათ პირო-  
ბებზე ხელი, მაგრამ კარსკის სიტყვებს ქონდა შემ-  
დეგი ბრძოლისთვის მნიშვნელობა. კოსტიუშკოს-  
თან ერთად იბრძოდა მრავალი გუშინდელი რუსო-  
ფილი.

აი როგორ ძლიერ გავს პოლონური ტორგოვი-  
ცის ისტორია, ჩვენებურ კომუნისტების შულავერის  
ისტორიას!

მე პირადად მწამს, რომ ზოგიერთ ქართველ კო-  
მუნისტს გულუბრყვილოთ სჯეროდა, რომ ლენინის  
ნაციონალური პროგრამა იყო დაწერილი ჩაგრული  
ერებისთვის და არა სადემოკრიოთ და რომ მათ, ამ  
პროგრამის განხორციელების საშვალეობას მისცემ-  
დნენ. მწარე სინამდვილემ მათ მალე დაანახა, რომ ეს  
ასე არ არის, რომ ისინი არიან მოსკოვის პოლიტი-  
კის ბრმა იარაღი და მეტი არაფერი. მოსკოვმა ისე  
მასხრათ აიღო ისინი, რომ 1922 წელს ამიერ-კავკასი-  
ის ფედერაციის შემოღების დროს, წინდაწინ არც კი  
შეეკითხა და მათ მხოლოდ გახეთქიდან გაიგეს ეს  
აქტი. კომუნისტების ერთი ნაწილი შეეცადა საბჭო-  
ური საქართველოს უფლებების დაცვას, მაგრამ ამა-  
თ. ამისთვის მდივანი-ქავთარაძე-ცინცაძე-დუმბაძე-  
ოკუპაციები «უკლონისტებათ» გამოაცხადეს და თა-  
ვი უკრებს იქ, სადაც დიქტატურა ს. დემოკრატებს  
და სხვებს გზავნის. რასაკვირელია, ბუდო მდივანსა  
და მის ამხანაგებს არსაით არ გადაუხრიათ, ისინი  
მტკიცეთ იცავენ ლენინის(?) ნაციონალურ პროგრამას  
და ამიტომ «უკლონისტებს» მათ ტყვილათ უწოდე-  
ბენ. მათი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მათ  
დღემდის სჯერათ ამ პროგრამის მოსკოვის საშვა-  
ლებით განხორციელება. მათ დღემდის ვერ შეუგნი-  
ათ, რომ დიქტატურა ყველას უფლებებს უარყოფს.  
ფენქვეშ თელავს და მათ შორის ერისსაც, ხოლო  
მოსკოვი და ჩაგრული ერის უფლება ორი ერთიმეო-  
რის საწინამდებო ცნებაა.

ჩვენთვის თავიდან ნათელი იყო, რომ მოსკოვის  
წითელი იმპერიალიზმი ბოლომდის ვერც საბჭოთა  
კონსტიტუციის ნიადაგზე შერჩებოდა და იგი ერის  
საბჭოურ ნომინალურ უფლებასაც ბოლოს მოუღე-  
ბდა. ეს ასეც მოხდა.

თანახმათ საკ. კომპარტიის ცეკის ნოემბრის პლე-  
ნუმის დადგენილებების, მოსკოვი ზევიდან ბრძანებას  
აძლევს ამიერ-კავკასიის კომპარტიის ცენტრს, დაუ-  
ყონებლივ შეუდგენ ნაციონალური რესპუბლიკების,  
საბჭოური, პარტიული, პროფესიონალური და სამე-  
ურნეო ორგანიზაციების დაშლას და მათ ამიერ-კავ-  
კასიის მაშტაბით შექმნას. ადგილობრივი კომუნის-  
ტებიც ენის შეუბრუნებლათ ასრულებენ ბატონის  
ბრძანებას და ამა წლის 27 ნოემბრის სსდომზე ად-  
გენენ:

«საკ. კომპარტიის (ბ) ამ.-კავ. საოლქო კომიტე-  
ტმა მოისმინა ცნობა ცეკის იმ დირექტივების შესა-  
ხებ, რომელიც ამ.-კავ. საოლქო კომიტეტის შემდგომ  
მუშაობას ესება. პლენუმის სთვლის, რომ საკ. კომ.  
პარ. ცეკის გადაწყვეტილებანი მთლიანათ შეეფერე-  
ბიან ამ.-კავკასიის სოციალისტური მშენებლობის  
მორიგ ამოცანებს, რომ ისინი სავსებით გამოხატა-  
ვენ ამ.-კავკასიის პარტიული ორგანიზაციების აზრს  
და ღებულობს მათ განუხრელი ხელმძღვანელობის-  
თვის.»

და რომ «განუხრელ ხელმძღვანელობაში» კომუნის-  
ტურ მოხელეთ ეჭვი არავინ დასწამოს, კრება ადგენს:  
«ცენტრალური კომიტეტის დადგენილების თანახმათ





პლენუმი ანდობს პრეზიდიუმს მოახდინოს ამ.-კავკ.-სამ. უმაღლეს საბჭოს რეორგანიზაცია. დაამუშავოს მთელ რიგ პროფკავშირთა ამ.-კავკასიის მაშტაბით გაერთიანების საკითხი, მოახდინოს ამ.-კავკ. საგგემო ორგანოთა რეორგანიზაცია. შესცვალოს ამ.-კავკას. სტატისტიკური სამმართველოს მუშაობის სისტემა და დაუყონებლივ შეუდგეს ამიერ-კავკასიის მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატის შექმნასა-ო («კომ.» 29 ნოემბერი 1929 წ.)

ჩვენ ეჭვი არ შეგვდის, რომ მოსკოვის ბრძანებას სისრულეში მოყვანენ, პარტიულ ორგანიზაციებს უკვე გამოაქვთ რეზოლუციები და ერთხმად გაიძახიან: «ამინ და ალილუ-ი-ა-ა-ა-ო, მაგრამ აქ ისეთ მოვლენას აქვს ადგილი, რომელზეც მკითხველის ყურადღების შეჩერება ღირს.

დღემდის მოსკოვის დიქტატურა ქვეყნის თვალის ასახვევით მაინც საჭიროთ სთვლიდა, ნაციონალურ რესპუბლიკების კომპარტიას და მის ხელმძღვანელ ცენ. კომიტეტს «გამოეთქვა თავისი აზრი» მოსკოვის დადგენილების შესახებ პოსტ-ფაქტუმ. საბჭოთა კავშირში საერთოთ, გარდა კომუნისტებისა, ოფიციალური მსჯელობის უფლება. სხვა მოქალაქეთ არ გააჩნიათ, ამ.-კავკასიის ნაციონალურ რესპუბლიკების კომუნისტებს კი, დღეს ეს საერთო კომუნისტური პრივილეგიაც აყარეს. რესპუბლიკების ბედი გადაწყდა, ამას ადგენს მოსკოვი და ამის შესახებ დადგენილება გამოაქვს ამ.-კავკ. საოლქო კომიტეტს. ხლოო ნაც. რესპუბლიკების კომპარტიის ცენ. კომიტეტები სდუმან. მათ თითქოს ეს საკითხი არ ეხება. და ეს ხდება არა იმიტომ, რომ ისინი არ ეთანხმებიან მოსკოვს, არა. ამას ისინი კიდევ რომ სურდეთ, ვერ გაბედავენ, არამედ იმიტომ, რომ მათ ფაქტიურათ ლიკვიდაცია უყვეს. საქარ. კომპარტიის ცეკის მდივანმა, რომელიც ამავე დროს საოლქო კომიტეტის წევრიც არის, საოლქო კომიტეტის პლენუმის სხდომაზე განაცხადა: «უნდა სისუამოიეროთ მუშაობა ადგილებზე, ეს მუშაობა ნაკლებად უნდა მოვიყვანოთ ამ.-კავკ. საოლქო კომიტეტში და უნდა მივიღოთ ზომები, რომ ამ.-კავკ. საოლქო კომიტეტის დირექტივებს თავის დროზე და უსიტყვოთ ასრულედენ ჩვენი ორგანიზაციები»-ო («კომ.» 10 დეკ.).

მაშასადამე ნაც. კომპარტიის ცეკაც ამის შემდეგ ზედმეტი ბარგია.

ამგვართ ამ.-კავკ. საოლქო კომიტეტი არის დიქტატორული უფლებებით აღჭურვილი მოსკოვის აგენტი, რომელსაც ყველა უნდა ემორჩილებოდეს და უსიტყვოთ მოყავდეს სისრულეში მოსკოვის განკარგულებანი. მაგრამ ამისთვის საჭიროა, თვით საოლქო კომიტეტი იყოს მოსკოვისთვის საიმედო პირების ხელში. ეს ერთი.

როგორც სჩანს დღეს ამ როლში ადგილობრივი ელემენტები აღარ გამოდგებიან. მამია ორახელაშვილი და რუბენი, რომლებიც ფედერაციის მთავარი სულის ჩამდგმელი იყვენ, ამისთვის აღარ ვარჯან, შეიძლება «საიმედოდ» აღარ არიან. ისიც შესაძლებელია, რომ ამ როლში დღეს, თვით სერგო ორჯონიკიძეც არ გამოდგეს. მაგრამ შესაძლებელია თავისი როლი, მაგრი უნდა წავიდეს, და თუ არ წავა, კინწის-

კვრით გაავდებენ. ცხადია, დადგა დრო, როცა კომუნისტი ციციანოვები, კომუნისტმა გოლოვინმა და ვარანცოვ-დაშკოვებმა უნდა შესცვალონ. ორახელაშვილსაც მოსკოვიდან დანიშნული «ნამესტნიკი» კრინიკვი სცვლის. ეს მეორე.

ჩვენ რასაკვირელია ამას აღვნიშნავთ არა იმიტომ, რომ ორახელაშვილის «დაკარგვა» გეწუხებენ, კარგი ქართველი ერისთვის არც მას უქნია რა, არამედ ამით გვინდა აღვნიშნოთ დამპყრობელთა ხელის უფლების განვითარების ტენდენცია.

მოკლეთ. 1929 წ. 27 ნოემბერს ამ.-კავკასიის ნაციონალურ საბჭოურ რესპუბლიკებს ჯგარი დაუსვეს, მისი ფაქტიური ლიკვიდაცია მოახდინეს. საზოგადოებაზე, რომ ამ ფაქტმა ერთბაშათ ცუდი შთაბეჭდილება არ მოახდინოს, კრემლის დიქტატურა და მის ადგილობრივი აგენტები «ყრუთა გასაგონათ და გლახაკთა სანუგეშოთ», ამბობენ: ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნაციონალურ რესპუბლიკებს თვითკრიტიკისა და თვითმოქმედების უფლება ერთმანეთს. ერის უფლებაზე ამაზე უფრო დიდი დაცინვა, აღარ შეიძლება! დიქტატურის სინამდვილეში თვითკრიტიკა ნიშნავს მას, რომ მიხ. კახიანმა «უკლონისტები» და სხვა ოპოზიციონერები თათხოს, კვესმა «უხამს მილიციონერებზე» სწეროს, ხლოო მთელმა ერმა სტალინისა და კრინიკვის განკარგულება—უსიტყვოთ შეასრულოს. ეს თვითკრიტიკა კი არ არის, ეს თვით დაცინვაა.

თვითმოქმედება ამიერ-კავკასიის ფედერაციაში გამოიხატება მასში, რომ ფილიპე მახარაძეს უფლება აქვს კომუნისტურ «ნამესტნიკს» კრიტიკის არა მართვას და მოსკოვს მოწყალეების სათხოვრათ წავიდეს. ამას ერის უფლება და თვითმოქმედება კი არ ეწოდება, არამედ—მათხოვრობა. მათხოვრობის უფლებას კი, ჩინვის-ყენი და რუსეთის მეფეებიც ამლევდნ მათ მიერ დაპყრობილ ერებს.

ბოლშევიკები დემოკრაიას გამართავენ და იტყვიან: შეხედეთ, ანტიბოლშევიკები კავკასიის ერების სოლიდარობის და კავშირის წინააღმდეგი არიანო! დამწვიდით. ასეთი დემაგოგიით მე-XX საუკუნოს ვერ წახვალთ. ერთა სოლიდარობას ვიცავდით, ვიცავთ და მომავალშიც მთელს ჩვენ ენერჯიას, ცოდნას და გამოცდილებას მოვასმართ მას, რომ კავკასიის ერებს შორის ნამდვილი სოლიდარობა დამყარდეს და მტკიცე სახელმწიფოებრივი კავშირი შეიქმნეს. ამ ხაზიდან ჩვენ ვერაინ გადავგახვევივებს. ამის თავდებია საქართველოს დემოკრატიის პოლიტიკური გაწრთნაც. მაგრამ ჩვენ გვინდა ეს კავშირი შექმნან თავისუფალმა ერებმა, თავისუფალ კავშირში, როგორც ეს შევიცარიაშია და არა ისე, როგორც საბჭოთა კავშირშია. მოსკოვს არც თავისუფალი ერი სწამს და არც კავკასიის ერების თავისუფალი ფედერაცია. ჩვენ გვინდა, რომ ფედერაცია იყოს კავკასიის ერების უფლებების დაცვის იარაღი; მათი დამოუკიდებლობის—ციხე-სიმაგრე. თქვენ გინდათ, რომ ფედერაცია იყოს მოსკოვის იარაღი კავკასიის ერების დასამორჩილებლათ. თოფი და წარბაზანი სასარგებლოა, როცა მით შეიარაღებული კავკასიის ერები თავს იცავენ, მაგრამ იგი უბედურება არის





მათთვის, როცა ამ იარაღით მოსკოვი მათ იპყრობს. იგივე ითქმის ფედერაციის შესახებაც. აი რა განსხვავება არის საბჭოურ ფედერაციას და იმ კავშირს შორის, რომელიც კავკასიის ერებმა უნდა შექმნან.

ამ ისტორიული მისიის შესრულებას კავკასიის ერები შესძლებენ, ვინაიდან ამას მოითხოვს მათი კულტურული, ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები. ბუღურ მდივანი არ იყო მართალი, როცა ამბობდა—საქართველოსა და აზერბეიჯანს გარდა მდინ. მტკვრისა და ზურნისა, არაფერი აქვთ საერთო, მაგრამ იგი სავსებით მართალი იყო, როცა საბჭოთა კავშირის არსებულ პირობებში, ამ.კავ. ფედერაციის წინამდევი იყო და საბჭოურ საქართველოს იცავდა. მაგრამ მაგარიც ის არის, რომ მოსკოვის დანებრებით და დიქტატურის საშვალეებით, ერის არავითარი უფლებების დაცვა არ შეიძლება. ბ. მდივანსა და მისს ამხანაგებს დღემდის ეს არ შეუგნიათ, ან არ სურთ შეიგნონ და ამიტომ მათ ბრძოლას ეკარგება ღირებულება.

დღეს ყველასთვის ნათელი უნდა იყოს, რომ პროფ. უსტრიალოვის «ველიკოდერჟავნიკული» იმედი მთელი ასი პროცენტით გამართლდა. კრემლის წითელი დიქტატორები იმავე გზით იპყრობენ და იმორჩილებენ ერებს, როგორც—რუსეთის მეფეები. თუ როგორი იყო ეს გზა კერძოდ საქართველოს შესახებ, ამის შესახებ მოვუსმინოთ ქართველი ბოლ-

შევიკების ბელადს ფილიპე მახარაძეს, რომელსაც ცალმხრივობას რუსეთის მიმართ ვერავენ დასწამებს: «საქართველოს «შეერთება» რუსეთთან, სწორს იგი, სრულებითაც არ მომხდარა «ნებაყოფლობით». პირიქით, ეს იყო ნამდვილი ძალმომრეობითი მოქმედება, ან, უკეთ რომ ვთქვათ, მთელი რიგი ძალდატანებითი მოქმედებათა, რომელსაც თან ახლდა, ერთის მხრით დატყვილება და სიცრუე, მეორე მხრით კი, სასტიკი სისხლის მღვრელი ღმები. საქართველოს რუსეთთან ნებაყოფლობით შეერთება, რასაც თვითმპყრობელობის ერთგული დარაჯები თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში მთელ ქვეყანას უმტკიცებდენ—მხოლოდ ზღაპარია»-ო (ეურნ. «მნათობი» № 2 1926 წ.).

გვითხრან ქართველმა ბოლშევიკებმა, რით განსხვავდება საბჭოების მიერ საქართველოს დაპყრობა, მეფის რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის ამ სურათიდან? \*)

ჩეხია, 22 დეკემ. 1929 წ.

კაპი.

\*) ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართველ კომუნისტების დანაშაული შეუდარებლად უფრო მძიმეა, ვიდრე იმ ქართველებისა, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს რუსეთის მიერ საქართველოს პირველ დაპყრობაში. რე დ.

### ს ა ა ხ ა ლ ჯ ლ

(ემდგნის ქართველ ერს)

აგერ უკვე ცხრა წელიწადი უნდა გადმოწვეს იმ დღიდან, როცა დაირღვა შენი მშვიდობიანი ცხოვრება, ხაჯალათ გამოვლილო ქართველო ერო, როცა დაიფუშა შენი სახელმწიფო წყობილება. აწიოცდა შენი ოჯახი, გაგივერანდა სახლკარი. გაცამტვერდა ქართლის სამეკვიდრებელი.

ჩვენ გვეგონა, რომ ივერიის ცას მწუხრის ღრუბელი დაუბრუნებლივ და სამუდამოდ გადაეხსნა, ჩვენ ვეტროფოდით და გუმღეროდით აღმოსულ მზეს, მის სიბთბს ვაგებებდით დასუსტულ ქვეყანას,—

მაგრამ ჟამთა ტრიალს ვაიმე რომ არ უქმარია შენს ზურგზე უხსოვარ დროთაგან გადასული მთელი ვაება! კიდევ ჩაესვენა მნათობი, ხელახლა ჩამოწვა ბინდი—შემმუსკრელი, სულთამუსუთავი... «და არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და მკა, და მოოზრდა ქვეყანა, და ტყვედ გადაიქცა», ასე განიმოვრებდა მემატიანე, ჩვენს დღეთა აღწერა წილათ რომ ჰხდომოდა!

\* \*

ფიქრი ნუ გაქვს: შენ ქართლრსიანთა გვარის სახელი გიწერია; შენ მოდგმა ხარ, შენ ხარ ღვაწლშემოსილი თოხუმი იმ შრომაგაღებული და შეუპოვარ წინაპრების, რომელთა შემკრებილობით უნარსა და მუყაითობას აზიხათ შეუნახავს უამრავ ურდოთა მიერ უხსოვარ დროთაგანვე მოყოლებული

ნიშანში ამოღებული საქართველოს მიწაწყალი...

ანდერძში მათ სოფლის მოვლა უბრძანებიათ და ეს ნება გადმოდის ნათესავითი ნათესავამდე, ხოლო ანდერძის გატეხა შენს გვარს არა სჩვევია: ქართლის დიდქამიანი ცხოვრება ამას ჰლაღადებს, მამულის ყველა გოჯში ჩაწვეთებული მოწამეთა და მხედართა სისხლიც ამის თავდება.

რათ იბრძვი? რა გაწუნებს? რისთვის მოსციდი ჩვეულ გარჯას? რათ იმძიმებ მარჯვენას აშიშვლებული სმლით? რამ დაგიღვრიმა გული? რა მიგიხიდავს ატეხილ ტყეში? რატომ არღვევ მივარდნილ წალკოტთა სიწყინარეს, ნადირთა მეუდროებას!?

განა რომ იწვი სამშობლოს ცეცგლით, იდაგები მისი ვარამით! ხვედრი წარჩინებული გაქვს, გზა დაღალავცილი! ქართლის დედის ქუშქუს მამულისათვის უზრდისხარ! შენებრ გულდათავის შეთხზულა—«ვაქვაცს რას გამოადგება სოფლად მშვენება თავისა, სხალს უნდა აურევიინებდეს, იმედი ჰქონდს მკლავისა».

\* \*

შენ გეწიხლება ვერაგულად შემოსული მტერი, ლაჩარი და მუნანათი, შენს თითო მხედარზე რომ ასობით გაწვებოდა ოთხივე მხრით. შენი სიძულვილი ათეცდება მით უმეტეს, რომ სინდისაფხეცილი მტერი მოსკოვის ზარბეზნების გრგვინვას შენს ხმათ





ასაღებს; ტფილისში მოკვცვის უმაღლე მან ხელი მიჰყო ქვეყნის გამოყრუებას, თითქოს შენ, ქართველო გლენო და მუშავ, უარგეყო შენი მთავრობა, შენი თვითმყოფობა და შენი თავის შესამუსრავათ რუსის ჯარი დაეძახნოს. როგორცა ჰხედავ, წითელი ჯალათები თუთიყუშით იმასვე იმეორებენ, რასაც ყოველი ჯურის რუსი გაჰკივის და მუდამ გაჰკიოდა: თქვენ—ქართველები—ნიადავ აჯითა და ხეწნით მოგვმართავდით მეთექვსმეტე საუკუნიდანვე, ხოლო ჩვენ—რუსები—იმავე დროიდან უხალისოთ მოვდიოდით თქვენს წაგებიან ქვეყანაში... ეტყობა სისხლიან წარსულს კმასაყოფელი თავდებობა არ დაუმსახურებია, გარნა აღარც 1924 წელი ვარგა ამ ქორის განსაზღვრვათ?!

არხინათ იყავი, მებრძოლო ქართველო: შენმა ზომადასულმა გმირობამ სამყარო გააოცა და იქ, სადაც სავმირო საქმენი იტქმის, პირველ რიგში ისევ შენი სახელი წარმოითქმის... თუ ურიცხვი რუსობა თორმეტი წლის განმავლობაში ზღაზნით «ეჩხუბება» თა ვის წყობილი ღებდას, ერთი მუქა ქართველობა დამპყრობელ ძალას რისხვით ეკვება—განმარტოებული, კბილებამდის იარაღ ასხმულ ჯალათებით გარშემორტყმული! წესწყობილების, რეჟიმის საკითხი ქართველს რადი აწუხებს: წაშავდება რუსის ჯარი და მერე პრაქტიკაც რამ სძებნოს, საქართველოს მზის ქვეშ ვერც საბჭოებს იბოვი და ვერც მის დამჰაჰებს! მაგრამ ჯარი თურმე ნუ იტყვი «მოგიატიყნია»—გესმის ქართველო?!—ქორწილი ვაგინანგრძლივებია და აბა გიქიც რათ იბრუნებს პირს თავისისაკენ!...

შენ ნებითა შენითა დასყარებული გქონდა შენი წესწყობილება, შენს წიაღიდან გამოსული, შენმიერ შექმნილი, შენა გყავდა შენი საკუთარი სახელმწიფო მეთვალყურე. დამოუკიდებლად მბრძანებელი! ქვეყანა შენი მიჰქროდა წინ წარმატების და სისრულიისაკენ, იმ დროს, როცა საბჭოურ ფულს ჩალისფასი არა ჰქონდა, საქართველოს თეთრმა საერთაშორისო აღებმციმობაში ვალიუტის სახელი მოიხვეჭა. ნდობა და პატივისცემა ქართულ სახელმწიფოისადმი, დარწმუნება იმაში, რომ საქართველოსთან დაწყებული ყოველი საქმე წესიერად დამთავრდება.

შურით შეპყრობილი მოსკოვი მუხანათურად თავსდაგეცა და უსწორო ომში ბრძოლა წაგებულს დაგეუფლა, დაგამსხვრია, დაგაკუწაწა, თანაც თავისი მასხრული ყოფაქცევა თავზემოგახვია: რუსებმა თავისი ქვეყანა თითოთსაჩვენებელ საგიჟეთად აქციეს და ადვილად მოსალოდნელი იყო, რომ საქართველოსაც მას მიუთანაბრებდნენ: ქართული ანდაზა ამბობს—«ქურდი თავის სახლს ვერ ააშენებს, სხვისას—კი დააქცევს»...

მეცხრეჯერ შემოტრიალდა ყამთა აღრიცხვა? მეცხრე წელიწადი ჰმუნვისა და შეიწროების, გლო-

ვისა და ზარისა, დაკნინებისა და გავერანებისა! აღარა კმარა?

ნუ ვითვლით ყამს: მისი განზომა ჩვენს ხელთ არ არის, მაგრამ ერთი რამ მაინც უტყუარია, განთავისუფლება წინ გვიდგა, ყოველი გათენებული დილა მისი მომანლოვებელია, აქეთკენ იხრება მთელი ვითარება ყველგან. სადაც-კი ბუდობს ტვინდაუხმარებელივ გამოგონილი საყოფელი!

მონობის ბორკილი თხელდება, ცვდება... მიჯაჭვულ ამირანს სახსრების შეება ენიჭება! გმირი აეგლიჯება კავკასიონის ქედს და გამოემართება ბაზალეთის აკვნის ხსნასაქმენლად.

ქართველობის ერთბამი დარაზმულობა ამას ჰმოწმობს, ამ დღეს აახლოვებს, ამიტომ იმედით აღავსებს ლამქრად მდგომ მამულიშვილთა გუნდებსაც.

მაშ ისევ წინ—გამოზომით, ძალების გამოზოგვით... ნათქვამია—«კატას ისე უნდა სცემო, რომ ხელები არ დაგაფხაჰნოს»...

შორს, შორს ჩვენგან კენესა და მიმომწულილელობა.—ტირილითა და გლოვითა მტერნი არ შეიშინების! სამშობლოს შემოხიზნული მაწაწალანი მრავალი უხილავს, ბრძოლა უთვალავი მოუხდია! ამ ქირსაც გაუძღვებს, რა თქმა უნდა!

დღეს ერთის ნებითა სდულს საქართველო: განმეორდა ისტორია ოქროს ხანისა! სამეფოთა, სამთავროთა და საათბეგოთა დროშები დახრილარიან დედაქალაქის კალთებთან...

1918 წლის 26 მაისს დაიწერა უკანასკნელი სიტყვა იმ ნიჭიტყებული მცნებისა, რაიცა მეფე ერეკლეს იღუმალ ნატვრათ ეზმანებოდა და რისი ნიშანდობლივი გამოხატულება ქართველ ტომთა მესვეურთ 140 წლის წინათ საღმრთო მოვალეობათ მიიმჩნიეს, როცა ქართლკახეთის მეფეს მამაშვილური ხელშეკრულებით დაეღვინა...

ეს დიდი მანიფესტია, ამ ყამად საქართველოს ეროვნულ მთავრობის სახეობაშია განაარსებული!

მურტალმა ხელმა ბაქართველოს დედაქალაქს აპყარა სამეფოვანი დროშა, ხოლო ეს შენი სიამაყე—დათალხულო მამულიშვილო, შენმა ხელისუფლებამ სამშვიდობოში გადმოიტანა და მსოფლიოს დედაქალაქში ააფრიალა!

ამ დროშას უტყონი პატესა სდებენ, მის ქვეშ ყველა ქართველი მებრძოლი ძალები თავმოყრილარიან, შენი შევების საქმეს ემსახურებიან...

შენ იცი ეს, შენ მას ვლი და მიუხედავთ ერთგამოუთქმელი მწუხარებისა, ეს იმედი გინახავს და და გაცოცხლებს:

მზისა შუქთა მომლოდინე

ვარდი სამს დღეს არ დაუკნების,

ბედი, ცდა და გამარჯვება

ღმერთსა უნდეს, მოცავსდების!

რ. ინცილდ.





ს ა ძ ა რ თ ვ ე ლ ო ც ი ფ რ ე ბ ი თ

(გდა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ მეურნეობის მიმდინარეობა)

11.

სახანავ-სათესი ფართობის შესახებ ცოტა არ იყოს, სიტყვა გაგვიგრძელდა, თუმცა შეათედიც არ გვითქვამს იმისი, რის თქმაც საჭირო იყო. რათა სრული წარმოდგენა გვექნოდა.—როგორ და რა კეთდება ჩვენში ამ დარგში და ან რა არის კიდევ გასაკეთებელი და რა საშუალებებით.

გადავხედოთ ახლა დანაშთენ კულტურებსაც. ეს დანაშთენი არის: მევენახეობა-მეღვინეობა, თამბაქოს მოყვანა, ბოსტნეულობა, მებაღეობა, მეაბრე-შუშეობა, მესაქონლეობა (და მასთან დაკავშირებული შერძეობა და მატყლის დაგროვება), ბამბის, ჩაის მოყვანა, ტყეების ექსპლუატაცია და სხვა...

თავისთავად ცხადია, ჩვენ ვერ დაგვკამყაფილებს ის გარემოება, რომ ბევრი ამ დარგში იმდენი მოდის მაინც, რომ საქართველოს სახლგრებიდანაც ბევრი გადის გასაყიდად. უნდა აშკარად ითქვას, რომ ამ შემთხვევაშიც მხოლოდ მცირედი მიღწევა იმისი, რის შესაძლებლობას გვაძლევს საქართველოს პირობები და მდებარეობა. აქაც დაგვეკირდება დიდი წინასწარი მუშაობა, წინდახედულება და მეცნიერული მეთოდების მომარჯვება, რათა ყველა ზემოთ ჩამოთვლილ დარგებში მოსავალმა და გამოსავალმა იმატოს კიდევ და ნაწარმოებებიც ისეთის ღირსებისა გამოვიდეს, რომ ადვილად შესძლოს უცხო ქვეყნების კონკურენტის დაძლევა, შინაურსა თუ უცხოელ ბაზარზედ.

თუმცა სასოფლო მეურნეობაში ნიადაგსა და ჰავას თითქმის გადაწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა და მათზედაა ბევრად დამოკიდებული ამა თუ იმ კულტურის შემოღება და საერთოდ მეურნეობის სისტემის ჩამოყალიბება, მაგრამ უნდა ანგარიში გაუწიოთ იმ გარემოებასაც, რომ თანამედროვე მეცნიერული აგრონომია ცდილობს ამ ელემენტებს შემუშავოს მათი ეს აუცილებლად გადამწყვეტი როლი.

ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწის პ. კრაპოტკინის ერთ თავის წიგნში, რომელიც ავტორის დაუსახელებლად იყო გამოცემული ძველს რუსეთში, ბევრი რამ საყურადღებო მოპყავს ამის შესახებ.

იგი მოგვითხრობს, რომ ჯერ კიდევ ნაპოლეონ მე-III დროს, საფრანგეთის მევენახეობას დიდს კონკურენტობას უწევდა ასეთი ცივი ზონის ქალაქი, როგორც ლონდონია, სადაც შუა ზამთარში მოპყავდათ ყურძენი, რომელიც საფრანგეთის იმპერატორის კარზედაც-კი იგზავნებოდა.

სწორედ ასევე ისახელა. თურმე, თავი ბელოვის სატახტო ქალაქმა—ბრიუსელმა: იქაური ყურძენი ჯიშითაც და ფასებითაც ბევრში სჯობნიდა თვით შვეიცარიის ვენახებში მოსულსა.

ვერობის ბევრს ადგილას ასეთ ანდაზასაც კი ვაიგონებთ: «კარგის ჯიშის და იაფი ყურძნის მოსაყვანათ მხოლოდ იაფი ქვის-ნახშირია საჭირო!»

ნიადაგის ხელოვნურად დამზადება და შენახვა, ხომ ისეა ამ უამად მოგვარებული, რომ მაგალითად, პარიზელი მებაღეები, რომელთაც იჯარით აღებულ

მიწებზედა აქვთ გაშენებული რამოდენიმე ათასი ჰექტარი ბალ-ბოსტანი, მიწის მეპატრონეთ პირობებში უწესებენ: «იჯარის ვადის გათავების შემდეგ უფლება გვაქვს თან წავიღოთ ჩვენგან მოტანილი ნიადაგი» და მართლაც თან მიაქვთ უკან ცხენის ურმებით თვისი მოტანილი «მინდვრები»!

მას აქვთ, რაც დასაგლეთ ევროპაში «მუშის» კულტურა გავრცელდა, ე. ი. შემოიღეს ათეულ და ასეულ ჰექტარ მინდვრების შუშაბანდით გადახურვა, მართლაც-და, ბუნებრივმა სითბომაც, თითქო. დაკარგა თვისი «აუცილებელი» მნიშვნელობა და ბევრს შემთხვევაში იაფი ქვის-ნახშირი გახდა საჭირო სითბოს მიწოდებელი.

მაგრამ ახალი ტენდენცია ამასაც არა სჯერდება; იგი ლამობს დათესილ ნიადაგის გათბობას ზამთარში—მილით მიტანილ თბილი წყლით.

სასუქების შეზავება ხომ იმ წერტილამდეა ასული, რომ, როგორც აფთიაქში შეზავდეს ექიმის რეცეპტით რამე წამალი, ისე მზადდება ამ უამად სასუქები, ნიადაგისა და მცენარის საჭიროებების მიხედვით.

მიწების გასაპოხიერებლად და გასაღონიერებლად ნიადაგში ხელოვნურად ბაქტერიების გაჩენასაც კი აპირებენ და ვინ იცის, ეგებ მალე მოვესწროთ იმ ხანას, როდესაც ამ წადილს ფართე პრაქტიკული მნიშვნელობა მიეცემა.

ბევრს გამოანგარიშებული აქვს, რომ ახალის მეთოდების მოხმარებით და სასოფლომეურნეობაში მანქანების შემოღებით, საკმარისი იქმნება კაცმა, მთელი წლის განმავლობაში, მხოლოდ 15 დღე იმუშავოს, რომ საუცხოვო მოსავალი მიიღოს და თვისი საჭიროებანი დაიკამყაფილოს.

ყველა ახალ «ხერხს» და საშუალებათ ვერ ჩამოთვლის ასე ადვილად ადამიანი და არც ჩვენი მიზანია აქ ყველა იმის ჩამოთვლა, რაც თანამედროვე სასოფლო მეურნეობას ახასიათებს.

აქ ნათქვამიც საკმარისია იმის წარმოადგენად, თუ რა დიდი შრომა, ცოდნა, ხერხი და გამპირახობა სჭირდება ქართველ სოფლის მეურნეს, რომ იგი არ დამარცხდეს მეტოქეებთან ბრძოლაში, იმ მეტოქეებთან, რომელნიც ასე მარჯვეთ იარაღებიან მეცნიერებით და მასზედ დამყარებულ ტენიკით და «ხერხით».

თქმა არ უნდა,—ქართველ სოფლის მეურნეს ერთობ ძნელი და რთული გზა უდევს წინ, მაგრამ ჩვენებურ მეურნეს გამარჯვებას გაუადვილებს ის გარემოება, რომ ახალის ტენიკის და ხელოვნების შემოღებასთან ერთად, მის ხელთ არის საქართველოს საგანგებო ჰავა და. მეტწილად, მდიდარი ნიადაგი, რაიც ბედნიერ უპირატესობას ანიჭებს ჩვენს სოფლის მეურნეობას: საქართველოს ცხოველ-მყოფელ მზის სხივებს ვერ შეედრება ვერავითარი ხელოვნური, ასე ვსთქვათ «ყურბით მიტრული» სითბო ნახშირისა, და ვერც მიღებით მიტანილი თბილი წყალი...

(გავრძელება იქმნება)



ს ა ბ ზ ო ტ ა ძ მ ე მ ა ნ ა შ ი

«ესპულდე, ოლონდ ეშინოდეთ»—ამბობდა თავის ქვეშევრდომთა შესახებ რომის იმპერატორი კალიგულა.

ეს ის იმპერატორი იყო, რომელმაც ყველაზე უკეთ თვითონვე გამოხატა თავისი წარმოდგენილი სიბოროტე და სიმხეცე თავის ნატურაში, ვაი რომ რომაელ ხალხს ერთი თავი არ აბია, რომ ერთის მოქნევით მოვადებინოთ; ის იმპერატორი, რომელიც უსახდრო უფლების მოყვერეობამ იმ სიგიჟემდე მიიყვანა, რომ თავის ყოვლად ძლიერების დასამტკიცებლად ცხენი სენატორად დანიშნა და რომის სენატის სხდომაზე მიიყვანა.

ბავშობისას ასეთს ამბებს რომ ვეცნობოდით, დაუჯერებელი გვეგონა და, თუ მაინცადამაინც იძულებული ვიყავით ისტორიული ფაქტი გვეცნო, ისეთი შორეული იყო ხომ, რომ აწრათაც არ მოგვდიოდა მის განმეორების შესაძლებლობაზე გვეფიქრნა. ბავშობა, სიყმაწვილე ხომ გულუბრყვილობის სინონიმი!

რა განსხვავებაა განა ამ რომაელ იმპერატორსა და დღევანდელ მოსკოველ დიკტატორს შუა? ის რომ პირველი ქრისტიანებს სდევნიდა და ცხენს ღირსებას ანიჭებდა, მეორე კი სოციალიზმს ამყარებს ამ ქვეყნად ცეცხლით და მხეცილით?

კალიგულა თუ ქრისტიანთა ღმერთს ებრძოდა, წარმართი ღმერთები მაინც სწამდა, დღევანდელი თვითმპყრობელი კი ყველა სჯულს სდევნის. მაგრამ არა ამა თუ იმ სჯულის დევნა მათი არსებითი მხარე არსებითი, რაც მათ ერთმანეთთან ანათესავებს. ის არის, რომ ერთიც და მეორეც თავის ნებისყოფას, თავიანთ პიროვნებას ყველაზე და ყველაფერზე მაღლა აყენებენ, თავიანთ თავის მეტი არა სწამთ და თავიანთ მეს დასამყარებლად არ ერიდებიან არაერთარ ბოროტებას და სიმხეცეს; ერთად ერთი მათი კანონი—მათი ჟინია, სხვა კანონი მათთვის არ არსებობს, ვე ჟინი მოიკლან ოლონდ, და გინდ თვით სიცოცხლესაც ბოლო მოღებია.

«ნა ვსებ პარახ» სოციალიზმისაკენ—აი მოსკოველ ხელისუფლების ჟინი და კანონი, და ცხოვრებაც ამ ჟინის შესფერად მიმდინარეობს იმ უზარმაზარ ქვეყანაში, რომელსაც სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკა ეწოდება. მკითხველს ახსოვს ჩვენის გაზეთის წინანდელ ნომერში მთავარი რუსეთის ყოველდღიურ ცხოვრების სისხლში ამოვლებული ცნობები. მაგრამ ცხოვრება მიტომ ჰქვიან ცხოვრებას, რომ მიმდინარეობს და არ ჩერდება, და საბჭოთა ქვეყნის ცხოვრებაც მიმდინარეობს... ისევ ისე, როგორც დღემდე.

«ჩიკავო ტრიბუნის» რიგელი კორესპ. მოსკოვიდან ჩამოსულ ამერიკელების ნათქვამს გადმოგვცემს, რომ საბჭოთა ქვეყანაში განშორებულია გლეხებისაგან თავიანთ სახლებსა და ქონებისათვის ცეცხლის წაქიდება. ერთ ამერიკელს ნიჟინი ნოვგოროდისგან მოსკოვამდის 320 გადამწვარი ქონება დაუთვლია. სწვავენ თავიანთ ქონებას «კულაკები» და სხვა გლეხები, ვის ქონებასაც ამა თუ იმ მიზეზის გამო კო-

ნფისკაცია მოეწიეს. ოლონდ ხელისუფლებას ნუ დაჩეხება და ცეცხლს უქიდებენ.

საბჭოელ «პრავდას» სიტყვით, მოსკოვის გუბერნიამი ღარიბი და საშუალო გლეხობა მასიურად ჰყიდის შინაურ საქონელს. ამის მიზეზი ცალკე ის ხმები, რომელიც სოფელს მოედო, —ბოლშევიკები საქონლის დამზადებას აპირებენ და ამიტომ არცერთს კომლს არ დასტოვებენ, რომ საქონელი არ ჩამოართვანო, და ცალკე თივის უქონლობა, რომელიც თივის დასამზადებელ კამპანიას მოჰყვა შედეგად.

ასეთია ხალხის ნდობა ხელისუფლებისადმი, ასეთია მისი რწმენა იმ სიკეთისა, რომლის მოლოდინში მისნი მესვეურნი ტვავს აძრობენ და სულსა ხდიან.

დიად სულსა ხდიან:

1. «რეიტერის» ცნობით, სოხუმში უაპელაციოდ დახვრეტა მიესჯა 10 გლეხს, რომელთაც საბჭოთა სოფლურ პოლიტიკის წინააღმდეგობა ბრალდებოდათ. (შეგარცხვინეთ ბურჟუაზიული ქვეყნების კანონმდებლები, ძლიერ რომ ცდილობენ სისხლის კანონების ჩამოყალიბებას, დანაშაულის მკაფიოდ დახასიათებას და გამათქმას! (სოფლურ პოლიტიკის წინააღმდეგობა!) აბა, რა სჯობია ასეთ ფორმულას, ვინ არ მოჰყვება ასეთს კანონს? და კანონიც ხომ ისეთი უნდა, ვინც გინდა, ის გახვიო მის ბარდებში».)

ბოლშევიკურ «ტრუდი» გადმოგვცემს, რომ:

2. კრემენჩუგში სელკოვის მოკვლისთვის დახვრეტა მიესჯა ორ გლეხს.

3. მოვილიოვის ოლქში დახვრეტა მიესჯა ღარიბ გლეხთა სახლებისათვის ცეცხლის წაქიდებისათვის ორ კულაკს.

4. პეტროპავლოვსკში დახვრეტა მიესჯა ვინმე კოჩკაროვს პურის დამზადების წინააღმდეგ პროპაგანდისათვის.

5. პოლტავაში აქტივისტების მოკვლისათვის დახვრეტა მიესჯა 8 კულაკს.

6. ზაპაროჟიეში სახელმწიფო ბანკის ადილობრივ განყოფილების მოხელეთ, დირექტორის თანაშემწეს, მთავარ კონტროლიორს და 15 სხვას, რომელთაც ფულის გაფლანგვა ბრალდებოდათ, სასამართლომ მიუსჯა: ორს დახვრეტა, დანარჩენთ კი ციხე.

7. ქალკიმროში დახვრეტა მიესჯა 3 ვაჟარს ფინისპექტორის დაქრისათვის.

8. დონეცის სასამართლომ დახვრეტა მიუსჯა ყოფილ მემამულეს ბელიავსკის იმისთვის, რომ... ათისწლის წინად (1919 წ.) მონაწილეობას ღებულაბდა თეთრ ჯარში.

9. სამარაში სასამართლოებულ იქნა გლეხთა ერთა ჯგუფი, რომელთაც კოლხოზისათვის მიწის მიმზომველ მოხელეების ცემა ბრალდებოდათ. 2-ს მათგანს მიესჯა დახვრეტა...

ასეთი იდილიური განწყობილებაა საბჭოთა წითელ ქვეყანაში მზრუნველ და გულშემატყიარ ხელისუფლებასა და მადლიერ ხალხს შუა.—წითელ ქვეყანაში ყველაფერს წითელი ფერი უნდა ედოს.

მაგრამ ვინ ყოფილა ქვეყნად, ყველა მადლიერი ჰყოლოდეს.



მეორე ინტერნაციონალის აღმასრულებელმა კომიტეტმა ბრიუსელში ნოემბრის პირველ რიცხვებში გამართულ კონფერენციაზე ერთხელ მიიღო საბჭოთა წითელ ტერორის წინააღმდეგ რეზოლიუცია. რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ 1919 წ. აქეთ აღვილი არ ჰქონია ისეთს მასიურ სვრეტას, როგორც ესლა სწარმეებს საბჭოთა რუსეთში.

ამ პროტესტმა იქნება იმდენად არ შეაწუხოს მოსკოვი, მაგრამ მეორე კი უფრო დამაფიქრებელი უნდა იყოს მისთვის.

«სოციალ. მოამბე» იუწყება:

«კვირას, ნოემბრის სამს, მოსკოვში, პრესნის მუშათა რაიონებში სტიქიურად თავი იჩინა დღევანდელ პოლიტიკურ ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილებამ. წითელ პრესნას მოედანზე საღამოს ანაწიდეულად და მთავრობის დაუკითხავად გაიმართა მიტინგი, რომელიც ნელნელა მიტინგ-მონსტრად გადაიქცა და რომელზედაც მთელი ერთის საათის განმავლობაში გამოდიოდნენ ორატორები და სასტიკ კრიტიკას უკეთებდნენ კომუნისტების პოლიტიკას. როდესაც შემიტინგები დემონსტრაციულად გაემართნენ ქალაქის შუაგულისაკენ, გამოჩნდნენ მილიციონერები, რომელთაც დაშალეს პროტესტი და გარეკეს ხალხი. კომუნისტები, რაც შეუძლიათ, მალავენ ამ შემთხვევას».

მოსკოველი პროტესტის მიტინგი შემთხვევითი და ანაწიდეულია. ის ვერ მიეწერება მოქალაქეობრივ გაბედულებას, არამედ იმ სიმწარით აიხსნება, რომელიც ცხვარსაც კი გაამწარებს. მაგრამ მით უარესი მოსკოველ ხელისუფლებისათვის, — გამწარებულ ცხოვრების გამო ამოხეთქილი ჯავრია სწორედ, რომ წალეკავს ერთ დღეს იქნება ხალხის არა მკითხველს ვეურთ.

ჯერ-ჯერობით კი, ვიდრე უკმაყოფილების ასეთი ამაფეთქებელი ძალა არ დაგროვილა, ხალხის სხვადასხვა ნაწილები ცალცალკე და ყველა თავისებურად შველის თავს.

ვერ გაუძლო, მაგალითად, სულისა და გულის შემთავ პირობებს ვოლგის ნაპირებზე გაფანტულმა გერმანელთა ახალშენობამ და დაიბრა ბოლშევიკურ სამოთხიდგან. საუბედუროდ, საბჭოთა სამოთხის დატოვების სურვილი თუ მათი საქმე იყო, ასრულება კიდე თვით საბჭოთა ხელისუფლებისა. ეს კი ჯერ უარზე იდგა, და მხოლოდ მაშინ, როდესაც გერმანიის მთელი საზოგადოება, პრესა და მთავრობა ალაპარაკდა, იძულებული გახდა დამოძობის გზას დასდგომოდა და ნება დაერთო ახალშენისათვის რუსეთი დაეტოვებინათ. მაგრამ როგორ და რა პირობებში? ამის შესახებ ცნობებს იძლევა დეპეშა რიგიდან.

«გუშინ საღამოს მოვიდა სამხლდვარზე ახალშენთა პირველი ჯგუფი—400 სული. ხვალ ელიან სხვა 400-ს და ზევ კიდე 500. ახალშენლები ამბობენ, მოსკოვთან თავმოყრილია 16.000 მეტი გლეხი—ახალშენლები. გერმანიისი გადასვლის ნებართვა მხოლოდ 4000 კაცს აქვს, დანარჩენებს კი ნაბრძანები აქვთ თავიანთ სოფლებში დაბრუნება. წამოსულებს ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ წაართვა ყველაფერი, რაც კი ებადათ,—ფული, ძვირფასი ნივთები და ნიშ-

ნობის ბეჭდებიც კი. საბრალო სანახაობას წარმოადგენს ეს სამოთხიდგან ცოდვილ მიწაზე დაბრუნებული ხალხი. მაგრამ,—ისინი უნდა ნახოთ. ვინც ჩვენ მოგვდევს, რომ მთელი საშინელება წარმოიდგინოთ, ამბობენ ესენი.

«საბჭოთა სამხლდვარი გადმოლახა 15 ებრაელმა ოჯახმა, ამბობს მეორე დეპეშა რიგიდან. ესენი უკრაინიდგან მოდიან და ამერიკაში მიემგზავრებიან. ამათი სიტყვით, სამხლდვრის ჩეკისტები ჩხრეკის დროს ჩეკის ძირებს სურიდენ, ქუსლებს გლეჯდენ, ქალებს ატიტვლებდენ და წარმოუდგენლის თავსედობით ექცეოდნენ. ფულეები და ძვირფასეულობა, თუ რამ გააჩნდათ, ყველაფერი წაართვეს; წაართვეს ამერიკიდან მიღებული სამგზავრო ფულიც კი. რომ ამერიკელი კანსოლი არ დასმარებოდათ, მოგზაურობას ვეღარ განაგრძობდენ. ოდესაში, სადაც რეგისტრაციით 27.000 უმუშევარი ითვლება, ებრაელობა სამხლდვარზე წახლის ნატვრალია, მაგრამ იქიდან თავის დაღწევა თითქმის შეუძლებელია.

იმავე უკრაინიდგან დაბრუნდა შვეციაში რამდენიმე ასი შვეციელი ახალშენელი, რომელთა წინაპრები ორ საუკუნეზე მეტია გადმოსახლებულიყვნენ რუსეთში.

გარბიან თათრები, გარბის ყველა ერი, ყველა წრე, ამ ლტოლვილობის მიზეზია მომავალი აუცილებელი სიმშოლბოა, ამბობს გერმანელ გაზეთების ყოფილი მოსკოველი კორესპოდენტი შეფერი, რომელსაც მოსკოვის ხელისუფლებამ აუკრძალა მოსკოვში ყოფნა.

მართლდაც, პეტროგრადში, როგორც იტყობინება «ტაიმსის» რიგელი კორესპ., რძე ეძლევათ მხოლოდ ბავშებს და ისიც... მხოლოდ წიგნაკებით!

მოსკოვში გამოქვეყნებულია სასურსათო ნორმები დეკემბრისათვის.

მუშათა «არისტოკრატებს» მიეცემათ თვეში ოჯახზე: 3 კილო ფეტვი, 1 ლიტრი ზეთი, ნახევარი კილო ერბო, სამი მეოთხედი კილო მაკარონი. ერთ ნახევარი კილო ხელოდკა და ნახევარი კილო საპონი. დანარჩენ მუშებს ამახედ ნაკლები ეძლევათ.

ასეთია საბჭოთა ცხოვრების სინამდვილე, რომელიც ასე ცხადად და სავეებით ეწინააღმდეგება მოსკოველ ცრუწინასწარმეტყველთა გაბორბტებულ ტვინისა და მხეცტურ გნების მიერ წარმოშობილ სახელმწიფო მშენებლობის თეორიას.

«თუ სტალინის არ გაუმართლა აზრი, ამბობს შეფერი, კომუნისტური სახლი თავზე ჩამოეგრვვათ მის მშენებელთ. საბედისწერო ელის საბჭოებს არა გლეხთაგან. არა ჯარისაგან და არც გალატაკებულ ქალაქის მცხოვრებთაგან, არამედ მარცხნიდანაც. უკიდურეს კომუნისტების ქადაგებამ იმდენად გაამარცხნა კომუნისტური ახალგაზნობა, რომ თვით სტალინი იძულებული შეიქნა მარცხნით ექნა პირი. მაგრამ უშველის კი ეს ნაბიჯი? მოსალოდნელია, იგივე ახალგაზნობა, რომელსაც სულ ახლო მომავალში პირდებოდნენ ოქროს დროის დამკვიდრებას და რომელიც სულსხვას ხედავს სინამდვილეში, აუჯანყდეს და სწორედ იმავე საბუთებით დაამარცხოს, რომელსაც მემარჯვენთა წინააღმდეგ ხმარობდა





სტალინი», აბოლოვებს თავის წერილს შეფერი. როგორ მოხდება მოსკოველ დიქტატურის დამხობა, ამას ახლო მომავალი დევანახვეებს აღბად, ოღონდ რომ ხრწნილების სუნი აუდინდა კიდევ ამ რეჟიმს, ეს უკვე ცხადზე უცხადესია.

რა არის თუ არ ხრწნა და დაშლა, როდესაც სახელმწიფოს სტრუქტურა არა მხოლოდ ახალშენლები, ებრაელები და ყველა ჯურის, წრის და ეროვნების წერილფეხა მოქალაქენი, არამედ სტრუქტურულ სახელმწიფოსაც და პარტიასაც თვით მმართველნი, კომუნისტურ მოძღვრების ქურუმნი. ჯეო კიდე 1923 წ. გაემიგრანტდა ვინმე ბ. სოლომონი, კომუნისტური წრის ერთი წარჩინებულ პიროვნებათაგანი და ნარკომინდელის დიდი მოხელე; მას მოჰყვა საბჭოთა სახელმწიფო ბანკის მთავარი მმართველი შეიმიანი, ყოფილი წარმომადგენელი საბჭოებისა საქართველოში. შეიმიანს შემოეგ ბესედოვსკი და სულ ბოლო დროს თვით ჩიჩერინი. ამ უკანასკნელს, თანახმად ბერლინის ტელეგრამის, საბჭოთა მთავრობამ მიუგზავნა კარახანი ასეთის წინადადებით: თუ ჩუმიად იქნები, ე. ი. საბჭოების საიდუმლოთ თუ არ გამოამჟღავნებ, არც მოსკოვში დაბრუნებას მოგთხოვთ და პენსიასაც დაგიინშნავთ, არა და უპენსიოთ დაგიტოვებთ. ჩიჩერინსაც მიუტია ამის ხელწერილი.

ჩვენ ოთხი წარჩინებული და ცნობილი მოხელე მოვიხსენიეთ, ხოლო რამდენათ გახშირებულა და მასიური ხასიათი მიუღია საბჭოთა მოხელეების რუსეთიდან გამოქცევას, ამტკიცებს ის კანონი, რომელიც გამოსცა მოსკოვის მთავრობამ.

ამიერიდან ყოველი საბჭოთა მთავრობის მიერ სამხდვარგარეთ გამოგზავნილი მოხელე, რომელიც უარს იტყვის რუსეთში დაბრუნებაზე, და არა მარტო მოხელენი—ექიმები, სწავლულები, მხატვრები, არტისტები და სხვ., ყველანი გამოცხადებულნი არიან კანონს ვარეშე და, თუ ხელში ჩაუვარდებთ რომელიმე მათგანი, 24 საათში დახვდებიან იქნება და მისი ქონება გადავა საბჭოთა ხელში. დაუმტკთე ამას, რომ თვით კანონშია აღნიშნული, რომ მას უკუქცევითი ძალა ეძლევა.

ეს კანონი იმდენად დამახასიათებელია იმ მოწამლულ ატმოსფეროსა, რომელიც სუფევს საბჭოთა ქვეყანაში, იმდენად ნათელი, რომ აღარ საჭიროებს აღარავითარ ახსნა-განმარტებას. თუ თვით მართველნი, მდგომარეობის პატრონნი და ბატონები. ვეღარ უძლებენ მათმიერვე შექმნილ პირობებს, რაღა ჰქნან იმათ, ვისაც იმთავითვე სული ეხუთებოდა ამ «სანეტარო» ქვეყანაში.

ხორციისა და სულის საწამებელ იარაღთა გამოგონებაში დაუღალავსა და შეუდარებელს ხელისუფლებას ვერ მოუხსენებია და სულ იმის ძებნაშია, როგორ და რითი კიდევ უფრო მოუწამლოს ხალხს სული და გული, წამების რა ახალი საშუალება გამოიხატოს. ხორცი და სული ნაწამებია, ესლა უხილავს ახრს გამოეცხადა ოში.

«ღმერთთა სწორის და უკდავის» ქვრივს, ქნკრუპსკაიას, სახალხო განათლების კომისარიატის ერთ-ერთს სულის ჩამდგმელის, მეთაურობით შემუშავებულ იქნა დეკრეტი, რომლის თანახმად ცეცხლს

უნდა მიეცეს ყველა საღვთისმეტყველო (ბიბლია, ტალმუდი და ყურანი) და ფილოსოფიის (პლატონი, კანტი, სპინოზა, სპენსერი და სხვ.) წიგნი.

ასე ლოლიკურად და ბუნებრივად სრულდება ბოროტების განვითარების გზა... სივიკით, სისხლისღვრით აღგზნებული ფანება კვარავას სინამდვილის გრძნობას და უხილავ სახეებს უწყებს დევნას. სენ.

### მ რ თ ი ზ რ რ ი ს ზ ა მ ო

რედაქციის ყურამდე მიადწია ერთმა ჟორმა, ვითომ ყველასათვის კარგად ცნობილი და სამომბლოსათვის დენილი ბ-ნი ივ. ჭავჭავანიძე საბჭოთა საელჩოსთან ყოფილიყოს დაკავშირებული! ამ ჟორის სათავეთ ასახელებენ საბჭოთა საელჩოდან გაქცეულ ბესედოვსკის ნაამბობს მათი აგენტების მუშაობის შესახებ ჩვენს ემიგრაციაში. მკითხველი ქვევით წაიკითხავს ამ ნაამბობსაც და დარწმუნდება, რომ არაფერი ბ-ნ ჭავჭავანიძისათვის ჩირქის მომცნები მას არ უთქვამს. ბესედოვსკის შეეკითხვენ კიდევ, დაესახელებია ქართველი აგენტები, მაგრამ მან ვერ დასახელა.

მეორეს მხრით ჩვენ მივმართეთ საქართველოს საელჩოს და ივ განგვიმარტეს შემდეგი: «გასულ წლებში რიგ რიცხვებში ჩვენ მივიღეთ ცნობა ოდენკურიდან, რომ დუს დეპარტამენტის პრეფექტის განკარგულებით ბ-ნ ივ. ჭავჭავანიძეს უნდა დაეტოვებია საფრანგეთის საზღვრები. საელჩო ჩაერია მაშინვე საქმეში და გამოიჩინა, რომ არეფექტი ვიდაცას ბოროტის განმარტებით შეცდომაში შეუყვანია და საქმე—რა თქმა უნდა—მოსპობილ იქნა. მიღებულია ზომები ამ დაუშვებელი დაბეზლების ავტორის აღმოსაჩენათ.

— შეიძლება—განგვიმარტეს საელჩოში—ამ ეპიზოდს უკავშირებენ ბესედოვსკის ნაამბობს, რაი სრულიად უსაფუძვლოა. ბესედოვსკი ლაპარაკობს «გეპეუს» აგენტებზე, რომელნიც მის ჩამოსვლამდე—ოქტომბერი 1927 წ.—ჰყოლიათ პარიზში, ივ. ჭავჭავანიძე კი ჩამოვიდა სტამბოლიდან 1928 წლის აპრილში.

ცხადია ამ რიგათ, რომ ბ-ნი ჭავჭავანიძის შესახებ გავრცელებული ჟორი ბოროტი ენის შეთხზულია და რედაქცია დარწმუნებულია. რომ ყოველი პატიოსანი ქართველი სასტიკათ დაკვმობს ასეთი მოწამლული იარაღით ბრძოლას პოლიტიკურ მოპირდაპირის წინააღმდეგ.

### ბ. ვ. ზემსელოვსკის ნაამბობი

შესავებ იმ ზომების, რომელსაც ლებულობდა პარიზში «გეპეუს» და მოსკოვის პოლიტიკურ სამართველოს წარმომადგენელი უცხოეთში მყოფ ქართველ პოლიტიკურ ორგანიზაციების მუშაობის გასაწვობათ.

— როდესაც მე ჩამოვედი პარიზში—1927 წლის ოქტომბერში—კავკასიის რესპუბლიკების პოლიტიკურ წარმომადგენლათ საბჭოთა კავშირის საელჩოსთან ირიცხებოდა ვ. ფირუმოვი, ამ უკანასკნელს ევალებოდა როგორც თვალყურის დევნება ემიგრაციისათვის, ისე ემიგრანტთა კოლონიების «გასაბჭოებაზე» ზრუნვა. თანახმად ფირუმოვის მიერ ნაამ-



ბობისა მის მუშაობას ცოტადენი წარმატება ემჩნეოდა, სანამ იგი სარგებლობდა ვეშაპელის და მისი თანამშრომლების—როგორც მაგ. მიწიშვილი—სამსახურს. შესაძლებელი გახდა «გასაბჭოებულ» კოლონიის შექმნა. მოეწყო პროპაგანდა ბეჭდვითი სიტყვის საშვალებით და სხვა. მაგრამ ვეშაპელის მოკვლის შემდეგ, როგორც სხანდა ფირფიტის გაუწყდა კავშირი ქართულ კოლონიასთან და გამოცალა ყოველგვარი პრესპექტივა. ამის შემდეგ ის მალე წავიდა პარიზიდან. საელჩომ შუამდგომლობა აღძრა მოსკოვის წინაშე, რომ დაენიშნა პარიზში ვინმე ქართველი. «გეპეუს» წარმომადგენელი მიხაილოვი ამას რაცხნდა აუცილებლათ, რათა სასურველათ დასრულებულიყო ის მუშაობა, რომელსაც თითქმის იგი წარმატებით აწარმოებდა ქართველ პოლიტიკურ წრეებში. პასუხათ მოსკოვმა აუწყა საელჩოს ქართველ კომუნისტის ვაშაძის დანიშვნა ფირფიტის ადგილას. მაგრამ ვაშაძე ჩამოსვლას ავგიანებდა. «პოლპრედის» განმეორებითი მოთხოვნაზე პასუხათ მოვიდა, რომ ვაშაძე უარს ამბობსო; მაგრამ «პოლპრედმა» დაჟინებით მოითხოვა და თბილისმა მოახერხა ვაშაძის დათანხმება.

პირველ ხანებში ვაშაძე ოპტიმისტურათ იყო განწყობილი და იმედი ქონდა, რომ ბევრს გააკეთებდა ქართულ კოლონიის გასახარწებლად. მაგრამ საეკმარისი დარჩა რამდენიმე ქართველ ემიგრანტთან შეხვედრა, რომ მისი ოპტიმიზმი გამჭრალიყო. საქმე გათავდა ვაშაძის კოტეგორიული განცხადებით, რომ მას არ შეუძლია პარიზში დარჩენა და მუშაობა. ვაშაძის წასვლის შემდეგ საქართველოს თავის წარმომადგენელი არ ყოლია საბჭოს საელჩოსთან.

როდესაც მე პარიზში ჩამოველი. როგორც საბჭოთა კავშირის რწმუნებული, ფირფიტათან ერთად მოხსენება გამოკეთა მიხაილოვმა, რომელიც ითვლებოდა «აპერატიული» წაწილის» გამგეთ, ან უკეთ რომ ვთქვათ. «გეპეუს» წარმომადგენლათ. იგი ირწმუნებოდა, რომ ყავდა ქართველებს შორის ხუთი აგენტი, რომელთა საშვალეებით იგი საუცხოვოთ «ირკვეოდა» ქართველ ორგანიზაციების და კოლონიის მუშაობაში; იცოდა შინაური უთანხმოებანი როგორც ყველა ჯგუფების, ისე კერძო პირებს შორის. კარგათ იყო გარკვეული მათ ნივთიერ უსახსრობაში და სხ.

მალე ჩემი ჩამოსვლის შემდეგ მიხაილოვი შესცვალა «გეპეუს» ყოფილმა წარმომადგენელმა სტამბოლში, რომელიც იქ ვილიანსკის გვარს ატარებდა. ხოლო აქ იანოვიჩის გვარით მოგვევლინა. მან შეამოწმა მიხაილოვის ცნობები და აღმოჩნდა, რომ ხუთი ქართველი აგენტიდან სამს მოქონდა კაფეებში და რესტორანებში გაგონილი (ყურმოკრული) ცნობები, რომელსაც ისინი ასალებდენ, როგორც პირველ წყაროებთან მიღებულ ცნობებს. ესენი იმავე წაშში იქნენ დათხოვნილი. დანარჩენი ორი დარჩა სამსახურში და დღესაც განაგრძობენ.

შეკითხვაზე,—თუ ვინ არიან ეს ორი, ბესდოვსკიმ განაცხადა რომ მას არ ახსოვს მათი გვარები და აღნიშნა, რომ ეგ პირები სრულიად უცნობი და «წერილი ხალხია».

### უცხოეთის მიმოსვლა.

1930 წელი.

სამი კვირაა, რაც ახალ წელში შევდგით ფეხი. და მით საშუალებაც გვექონდა გადაგვეთვალეებოდა პრესის მიმოსვლები. ერთში ყველანი ეთანხმებიან ერთმანეთს: 1930 წ. ფართე პერსპექტივებს და იმედებს გვიწლისო. როცა ამას კითხულობთ ევროპის პრესაში, თავის თავათ ცხადია. თუ რას გულისხმობენ: ეკონომიური სტაბილიზაცია და საყოველთაო მშვიდობიანობა.

მაგრამ რაა ეკონომიური სტაბილიზაცია, თუ არა დიდი ომის შედეგების გაქრობა? ხოლო ამ შედეგებში ყველანი ერთმანთ გულისხმობენ რეპარაციას! რამდენჯერ შეგვიჩერებია მკითხველის ყურადღება მასზე! ათი წელი გავიდა ვერსალის ზავის შემდეგ და მას კი არაფერი ეშველა. პირიქით, რაღმე ისე არ მოუვიდათ, როგორც ერთხელ ბალკანეთში... გაიხსენეთ რური. ამოცანა ცხადი იყო: რეპარაციის უბრალო ფინანსიურ საკითხად ქცევა, ხოლო ის თავიდანვე პოლიტიკურ ნიადაგზე იდგა. უნდა ითქვას, გასულ წლებში ბევრი რამ გაკეთდა ამოცანის გასახსნელათ, დოჟის ვეგმა და ლოკარნო ამის მოწვევა.

როცა დოჟი ახსენებთ, უნდა ახსენოთ იონგი. და ეს სახელები კი გვეუბნება, ვინა სდგას მათ უკან: ამერიკა! დიახ, თუ არა ამერიკა, რეპარაცია იქცეოდა რევოლუციად. ეს უკვე მთავარი მუხლი იყო «კომუნისტურ ანბანში!» პაავის კონფერენცია, რომელიც დაიწყო შარშან ზაფხულს და დამთავრდა ამ დღებში. წესის აგება ამ «ანბანისთვის».

მასადაამე, ორი უდიდესი ფაქტი ეხლა არ იწვევს არავითარ დავას. ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები იქცა ევროპისთვის მსხნელად და... ბატონად. მან აქცია პოლიტიკა უბრალო თამასუქად გამარჯვებულ და დამარცხებულ სახელმწიფოებისათვის. ომის შედეგები—დოლარებად, და უკანასკნელის საღარო—საერთაშორისო გამწაწილებელი ბანკი—ბატონ იანკის ფინანსიურ ხელისუფლებას დაექვემდებარება. მეორე ფაქტი, არა ნაკლებ საყურადღებო, არის გერმანია-საფრანგეთის დაახლოების რეალური შესაძლებლობა.

ამაზე უკვე იყო ერთგვარი მითქმა-მოთქმა ძველი წლის დასასრულ. ბრიანმა წარმოთქვა დიდი სიტყვა პალატაში, სადაც აიღო სწორეთ ეს ხაზი: გერმანია-საფრანგეთის დაახლოებას არაფერი დაუდგება წინაო. მაგრამ მაშინვე ახსენა პოლონეთიც და სთქვა, რა თქმა უნდა, ეს არ დაგვიშლის პოლონეთის ერთგული მეგობარი დავრჩეთო. გამოხმაურება დიდი ჰქონდა ბრიანის სიტყვას პოლონურ პრესაში, იქ სვამდენ კითხვას: რამდენათ რეალურია საფრანგეთ-პოლონეთის სამხედრო კავშირიო. ზალესკიმ, იქაურმა სავარყო მინისტრმა, ასე უპასუხა ბოლოს ამ კითხვას: ჩვენი კავშირი საფრანგეთთან ურყევიია, უკანასკნელის დაახლოება გერმანიასთან, პირიქით, გამოიწვევს გერმანია-პოლონეთის დაახლოებასო.

და რომ ეს ასეა, ზალესკიმ განიმეორა კიდევ უფრო სახეიმო კილოთი ქენევაში ერთა ლიგის საბჭოს სხდომის გახსნის დროს, როგორც მისმა მორიგმა





თავმჯდომარემ. ჩვენ ვგულისხმობთ საერთაშორისო აბოთეონს შტრუხმანის მოსაგონებლათ. ზალესკი ღირსეულად დაახასიათა ეს დიდი სახელმწიფო მოღვაწე, ის არ შეუშინდა შესებოდა გერმანია-პოლონეთის დამოკიდებულებას და გამოთქვა რწმენა, რომ ის გაუკეთესდება ახლო მომავალში. ყველას მოაგონდა ლუგანოს «მუშტი» და ის დიდი ნაბიჯი, რომელიც გადაიდგა მას შემდეგ.

ერთა ლიგამ ხომ ათი წელი შეასრულა. ის მართლა ადამიანის ზრდას მოგაგონებთ, ჯერ «ბალოია», მაგრამ მის დაეკაცებებაში ეხლა მინც არავის ებადება იქვი. შეიკრიბა ლონდონის კონფერენცია სახელვა შეიარაღების შემცირება-შეჩერებისთვის. ყენვეაც სწორეთ მის დასრულებას უცდის, რომ მოიწვიოს საერთაშორისო განიარაღების კონფერენცია.

ამერიკა აქაც პირველი ხმით იწყებს მოძახილს, თუმცა ერთა ლიგის წევრი არ არის, და არც უნდა იყოს. ამ მის მადას უპირდაპირდება ახალი იდეა: ევროპის კონფედერაცია, რომელიც წამოიხროლა ბრიანმა შარშან სექტემბერს ყენვაში. იდეა უთუოთ დიდმნიშვნელოვანია, მისთვის იბრძოლებს საერთაშორისო დემოკრატია; თავისუფალი კავშირი თავისუფალ ერთა—აი მისი ღერძი.

ამას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ ყველგან გამეფებულია ერთი ტენდენცია: სახელმწიფოთა და ხელისუფლებათა დემოკრატისაცია. გერმანიის მთავრობას სოციალისტი უდგას სათავეში, ინგლისში მთელი მთავრობა მუშათა პარტიის ხელშია. არ არის გამორიცხული, რომ ეს მდგომარეობა შეიცვალოს. ამიტომ ჯერ-ჯერობით მხოლოდ ტენდენციახე შეიძლება ლაპარაკი.

ამასობაში მკედონალდის მთავრობამ წეს-რიგში დასვა ეგვიპტის დამოუკიდებლობა. ინდოეთის დომინიონად ქცევა, მესაბრტამის ერთა ლიგაში შესვლა...

საერთაშორისო პირობები თითქო ხელსაყრელია აგრეთვე ჩინეთისთვის. სტალინის მიერ მანჯურიის რკინის გზახედ რუსეთის უფლებების აღდგენამ ხელი არ შეუშალა ნანკინს უცხო სახელმწიფოთა ექსტერიტორიალობის მოსპობის წეს-რიგში დაყენება, და ამერიკამ, ინგლისმა უკვე დაიწყეს ამის შესახებ მასთან მოლაპარაკება. გაჰქარა ძველი ბრძანებლობის კილო, მუქარა...

მერმე ჩვენ რა?—მკითხავს ვინმე. ვფიქრობ, ცოტა რამ ზევითაც ვსთქვი ამ კითხვაზე. ეკონომიური კონსოლიდაცია ევროპისა და საყოველთაო მშვიდობიანობა—ეგ ხომ საწამლავია საბჭოთა რეჟიმისთვის! საიდან და როგორ უნდა იხსნას თავი მოსკოვის ხელისუფლებამ? ინგლისთან დიპლომატიური დამოკიდებულების აღდგენა ვერაფერს მოუტანს. მოსკოვმა უკვე დაარღვია ჰენდერსონ-დოვგალევსკის ოქმი, კომინტერმა მანიფესტით მიმართა ინგლისის ორ ღერ კომუნისტებს და ყოველდღიური განეთიც დაუარსა მათ. ინგლისის მთავრობა ხმას არ იღებს, მოსკოვი ხარობს გულში—ვერ შეამჩნიეს. მართალი არის, აბა ვის სცალია მისთვის? ემზადებიან სახლვაო კონფერენციისთვის, წარმოთქმენ სიტყვებს. სოკოლინკოვი, ახალი ელჩი, დაღვრემილი

დაცწრება ზემის, ხოლო ხმას კი ვერ ამოიღებს... რუსეთის ხმა არ იხმის, დიდი ხანია, საერთაშორისო კონცერტში, ან კი როგორ შეეწყოს მისი ღრიალი ამდენ ზრდილ ხალხის დეკლამაციას.

საბჭოთა განეთები მოათავსებენ ბევრ კარიკატურას დელეგატებისას, აი მათ რომ გამბედაობა შესწევდეთ და მოათავსებდენ მოსკოვიტების კარიკატურებს. რომელსაც აქ ვხედავთ ყოველ დღე, ცხადია, ისინი მშვენივრათ დაინახავდენ თავიანთ თავს სარკეში! არ არის არც ერთი მოდგმის ველური (ბარბაროსი, როგორც ერთი საფესურით მალა, უკვე შეუფერებლად მიახნიათ), რომელსაც არ ამგზავსებდენ ბ.ბ. მოსკვიტებს; არ არის არც ერთი გარეული ცხოველი (შინაური უკვე შეუფერებლად მიახნიათ), რომელსაც «ღერში» არ უხატავდენ სოვდეპიას... უკანასკნელის სულთა ბრძოლას ყველა უთვალთვალებს, დაობენ დღეზე, როდის ამოხდება სული, როდის შეიძლება ტყავის გაყოფვა...

ნუ გვონიათ, რომ იგივე იანკი და მისი დოლარი აქ როლს არ ითამაშებს. რას ნიშნავს, მეორეს მხრით, საფრანგეთ-გერმანია-პოლონეთის დაახლოება, ატლანტიდან ბალტიის გასწვრივ? წინაგრძობა დიდია მოსკოვში, ყარახანი კონფერენციას ხსნის ანკორის დელეგატთან, განა ეს უშველის საქმეს? მეტი არაა მტერი! მან კი მიიღო სომხის ქურკი ანკორაში, მაგრამ იქვე იყო დიდი ბრიტანეთის ადმირალიც. ეტყობა, ოსმალეთი დასავლეთით იცქირება, ყენვეახეც უჭირავს თვალი. ეს მხოლოდ სიმპტომებია, რომელსაც განასახიერებს უფრო ძლიერი ფაქტორები.

მაშასადამე, პერსპექტივები და იმედები ჩვენცა გვაქვს. ვუსურვებთ ჩვენს ერს გამძლეობას, სულის სიმტკიცეს, სიფხიზლეს; დანარჩენზე ფიქრი არაა, მას შერჩა შეუდრეკელი ნებისყოფა, ნათელი მიზანი და ბრძოლის უნარი.



გ ა ზ ე თ ი ს ო ა ს ი :

- ერთი წლით 20 ფრანკი.
- ნახევარი წლით 10 ფრანკი.
- ერთი ნომერი 2 ფრანკი.



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა მ ბ ე მ ი

(გაზეთებიდან)

სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ აგრანომიულ ფაკულტეტის ნაცვლად ტფილისში დაარსდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. რექტორად დაინიშნა ვას. კანდელაკი. პრორექტორებად ზაიცივი და ლომაური და დეკანებად ჯანდიერი, ამირაჯიბი, ვილოგრადოვ-ნიკიტინი, სოკოლოვსკი და მოდებაძე.

— გასული წლის ნოემბერში უნივერსიტეტის თანამშრომელთა კრებაზე უნივერსიტეტის მუშაობის შესახებ მოხსენებანი გააკეთეს კ. კეკელიძემ (სამოსწავლო დარგი) და შ. ნუცუბიძემ (ადმინისტრატორულ-სამეურნეო დარგი). კეკელიძის სიტყვით, სო-



უკრაინელთა შორის

ციალური და აკადემიური შერჩევის მეხეობით წელს უნივერსიტეტში ირიცხება 5929 სტუდენტი (ნაცვლად 7 ათასისა). სტუდენტებში 58 პროც. მუშების და გლეხების შვილებია, ხოლო 42 მოსამსახურეები და მათი შვილები; სტუდენტობის რიცხვი აღწევს 1500-ს. — უსტუბიძემ განაცხადა: უნივერსიტეტის ბიუჯეტი დამაკმაყოფილებელი მხოლოდ 18 პროც. და აქედან ადგილი წარმოსადგენია, თუ რის გაკეთება შეიძლებოდა ასეთ პირობებში.

— აი ნიშუში იმისა, თუ როგორ მიმდინარეობს კოლექტიური მეურნეობა ჩვენში: «დირბის (გორ. მ.) კომპანირებლებმა კოლექტიურად დაამუშავეს და დასთესეს 24 ჰექტარი ჭარხალი. ჭარხალი საუცხოვლო მოვიდა, მაგრამ როდესაც მისი ამოღების დრო დადგა, მაშინ ყურადღება არავინ მიაქცია და 24 ჰექტარზე დათესილი ჭარხალი პირუტყვებმა მთლად გააფუჭეს». კ. 29. 12-14.

— ფუთი პური ფუთ ხორცად: ბაკურიანის რაიონის გლეხობა მესაქონლეობას მისდევს და პურს გარეთ ყიდულობს. ბორჯომის მუშათა კოოპერატივმა ისარგებლა წელს გლეხების გაქვივრება და საკვლავ საქონლში ფქვილი გაუცვალა—ფუთ ხორცში ფუთი მესამე ხარისხის ფქვილი. გლეხებს აღარ რჩებათ არც მუშა საქონელი, არც საწველი.

— თბილისის საბჭოს საფურცო-კოოპერატიულმა სექციამ გამოიკვლია მუშაკანის და სხვა კოოპერატიული საფურცლების ნოქართა მუშაობა და მრავალი უმსგავსებელი აღმოაჩინა. აღმოჩენილ იქნა აგრეთვე თვით ნოქარებისათვის გადამალული მრავალი დეფიციტიანი საქონელი. არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული თუ როგორ და მიზნით გააკეთ «თავის საქირობებისათვის» ნოქარებს საქონელი, რომელიც შემდეგ კერძო ვაჭრებს უყარაღებთ ხელში. ხშირია კი «თავის საქირობებისათვის» გატანილ საქონელს ნოქარები აწვდიან თავიანთ ნათესავებს და ნაცნობებს.

— საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა აუცილებლად სცნო შემოღებულ იქნას ერთიანი სასურსათო წიგნაკები ქალაქებში და რკინის გზის ხაზზე. ამ წიგნაკებით გაიცემა ყველა ის საქონელი, რომლის ვაჭრობას აწესრიგებს სახ. კომისარიატი: პური, შაქარი, ჩაი, ზეთი, ბრინჯი, მაკარონი, კვერცხი, ძაფი და საპონი. ფართალი გაიცემა იმის მიხედვით, თუ რამდენი იქნება მიღებული.

— ა. კავკასიის ვაჭრობის კომისარიატის დადგენილებით ხორცი მოსამსახურეებს, მათი და მუშების ოჯახის წევრებს მიეცემათ სულზე ასი გრამი, ხოლო ფიზიკურათ მომუშავეებს 150 გრ. ხორცის გაცემა იწარეოებს შვიდ დღეში მარტო ხუთჯერ.

— ინჟ. ყიფშიძის განცხადებით, რამდენჯერმე ჩატარებულმა გეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ და საცდელმა ბურღვამ დადასტურა, რომ შირაქის რაიონში მრავალია ნავთის საბადოები. გეოლოგების წინასწარ დასკვნით მთელი ამ რაიონის სივრცე (ნავთიანი ადგილები) სამი ათას კვად. კილომეტრს უდრის, განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს სამი უბანი—მირზაანი, ქელუბანი და პატარა შირაქი.

«იხვესტიას» სიტყვით, უკრაინის კომუნ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტს დაუდგენია, რომ გააძლიეროს დონბასის უკრაინიზაცია. დღეს სპეცების უმეტესობა რუსებია, რომლებიც ამჟღავნებენ თავის «ველიკოდერჟავულ» მისწრაფებებს და ებრძვიან უკრაინულ ეროვნებას. ამიტომ უ. კ. პ.—ის ც. კ. მოითხოვს, რომ დონბასში ხელმძღვანელობა გადავიდეს უკრაინელ მუშების ხელში.

— კომუნისტური ჟურნალი «მოლ. გვარდია» არკვევს კონტრევოლუციურ მოძრაობას უკრაინაში და ამბობს, რომ დღეს უკრაინაში ყველა ორგანიზაციამ, რომელიც ემბრობა უკრაინის განთავისუფლების კავშირს, სრულიად გასწყვეტა კავშირი სოციალიზმთან. ეს ორგანიზაციები ამ ეჟამდ იბრძვიან ბურჟუაზიულ უკრაინის აღსადგენად. უნდათ კერძო საკუთრების დამყარება და იმის თანახმად კი არიან, რომ გადაიხადონ მეფის დროის ვალეები. კომუნისტური ჟურნალს განსაკუთრებით აწუხებს უკრაინელ ახალგაზდობის მუშაობის გაძლიერება, რომელთა შორის ბევრი ტერორისტია.

— ბოლო დროს კომუნისტურ მთავრობას კალუგის და ორიოლის გუბერნიებიდან გადმოყავს რუსის გლეხობა და ასახლებს მათ უკრაინის და პოლონეთის საზღვრებზე, რომ ამით ხელი შეუშალოს უკრაინელების და პოლონელების ურთიერთობას და ერთიმეორეში გადასვლა გადმოხვლას.

ქართველები საფრანგეთში.

კვირას იანვრის 26 პარბში ეკლესიაში სევრის ქუჩაზე (33) ქართველ კათოლიკეთა საზოგადოების ინიციატივით გადახდილ იქნა წირვა წმ. ნინოს პატივისაცემლად. დაესწრო დიდძალი საზოგადოება, როგორც ქართველობა ისე ფრანგები. კათოლიკე მღვდელმა მ. ქენემ წარმოსთქვა მშვენიერი სიტყვა, რომელშიაც დაახასიათა წმ. ნინოს ცხოვრება და ქართველი ერის კულტურული თავგადასავალი.

— ახლო მომავალში გაიმართება მთელი რიგი «ქართული საღამოებისა»: თებერვლის 8 ქლექიანთა დამხმარე საზოგადოება გამართავს მორიგ «საღამოს»; თებერვლის 11 დანიშნულია ქბ. მიურატის საჯარო მოხსენება «ოქროს ვერძის ქვეყანა»; 27 თებერვალს «ნინოობა»; მარტის 4 გაიმართება «ქართველთა საზოგადოების» დიდი ბალი.

მეკლფიონელი

მივიღეთ «დამ. საქ.»-ს სასარგებლოთ ვარშავიდან ქართველთა კომიტეტის შემოწირული ასი ზლოტი, რომელიც გადმოგვიგზავნა კ. იმანძემ. რედაქცია უღრმეს მადლობას უძღვნის ბბ. შემომწირველთ.

დასაბუქდი წერილები, ფული და სხვა უნდა გამტვიგზავნოს შემდეგი მისამართით:

M-r O U R A T A D Z É  
10. rue Jules-Ferry. Leuville-s-Orge (S.-et-O.)  
France